



ახალი ბანათლები

№18 (572) ბაშოლის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



თამარ მეფის ფრესკა. ყინწვისი

„ქრისტე, ღმერთო ჩემო,
მხილთო, დაუსრულებელი
ძეუფეო ცათა და ქუეყანისათ!
შენ შეგვკვდრებ სამეფოსა ამას,
რომელი შენ მიერ ქერწმუნა,
და ერსა ამას, ბატიოსნითა
სისხლითა შენითა მოსყდრულსა,
და შვილთა ამათ ჩემთა,
რომელი შენ მოძცენ,
და ქერძე სულსა ჩემსა“.

თამარ მეფის სიკვდილის
წინ წარმოთქმული სიტყვები

პეტიოლიკა

**ფიზიკის პედაგოგთა
დასახეარეპლად**
გვერდი 5

საუბრაბი პიპლიაზა

**ათი მხნეა
მეორე ნაწილი**
გვერდი 6

ქართული პიპრანტაბი

**გზა საქართველოდან
აქერიკაგლე**
აბრა სველიკა
გვერდი 7

იურიტის კონსულტაცია

**პედაგოგთა შეპიტხეპგ
პასუხოგს სემთ-ს
იურიტბი**
თამარ პავლიანი
გვერდი 8

ბაშოვილა



ნიკოლაი გოგოლი
რჩეული
მოთხრობაბი

ვილჰელმ ჰაუზი
ლიხტინშტანი

თეოდორ დრანიზარი
დაიკო კარი

2012 წელს ბრიფირაბული სახელმძღვანელოები



წყაროსთვალი

შეთავაზებაბი სკოლეს და პედაგოგებს

მაია ოთიაშვილი, ირინე მიქაძე – „მზის სხივი მუსიკაში“ (VII, VIII, IX კლ.)

„წყაროსთვალის“ სახელმძღვანელოების არჩევის შემთხვევაში:


- პედაგოგები ნიგნებს მიიღებენ საჩუქრად;
- მასწავლებლების სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებლად პედაგოგებს ექნებათ შესაძლებლობა, უფასოდ დაესწრონ ტრენინგს მუსიკაში.

„წყაროსთვალის“ სახელმძღვანელოების ორგანიზებულად შეძენის შემთხვევაში სკოლები მიიღებენ 10%-იან ფასდაკლებას



მუსიკის სახელმძღვანელოები „მზის სხივი მუსიკაში“ (VII, VIII, IX კლ.) წარმოადგენს გრიფირებული სახელმძღვანელოების „მუსიკა და ბავშვების“ (I-VI კლ.) ლოგიკურ გაგრძელებას. ყოველი კლასი შედგება მასწავლებლის ნიგნის (სანოტო დანართით), მოსწავლის ნიგნისა და 2 აუდიო დისკისგან. პირველ დისკზე ჩანერილია მთელი წლის მოსასმენი მასალა (კლასიკური და ხალხური მუსიკა), ხოლო მეორეზე კი – ყველა შესასწავლი სიმღერის „პლიუს“ და „მინუს“ ფონოგრამები. სახელმძღვანელოებს (VII, VIII, IX კლ.) ახლავს კიდევ 1 აუდიო დისკი, რაზეც ჩანერილია დამატებითი მუსიკალური მასალა.

ტელ.: 274 63 69 • 227 30 73 • 599 76 10 39 • 557 31 75 88 • 579 51 99 00
E-mail: tskarostvali@gmail.com



კონკურსი „ვიტხოლობოტ რუსთაველს“

თბილისის №24 საჯარო სკოლა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის რუსთაველოლოგიის კვლევის ცენტრი, საქართველოს პედაგოგთა და მცენარეთა თავის უზარმაზარი პროფკავშირი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს გთავაზობთ ტრადიციულ კონკურსში მონაწილეობას.

პროექტი „ვიტხოლობოტ რუსთაველს“ უკვე მეცხრედ ხორციელდება და ამჯერადაც მონაწილეობის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის უპირველესი წიგნის უკეთესად, მსოფლიო აზროვნებისა და მოქალაქეობრივი მრწამსის გასავითარებლად, შემოქმედებითი პოტენციალის გამოსავლენად.

პროექტის მიზანია ამ პოემისადმი XXI საუკუნის მოსწავლეებსა და სტუდენტებში გააზრებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება, მარადიული სულიერი კავშირის შექმნა. პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას, შესაბამისად, აღმზრდელ-პედაგოგებსა და უმაღლესი სკოლის ლექტორ-მასწავლებლებს. ამდენად, პროექტის მნიშვნელოვანი პირობაა ერთიანი კავკასიური კულტურის შექმნა საკუთარი კულტურის თვითმყოფადობის გადასარჩენად. გვსურს, პროექტის კავშირების დამყარების გზით გავაღრმავოთ კავკასიელთა შორის მეგობრული ურთიერთობები და ვიცხოვროთ „მართალი სამართლით“.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი აკადემიური გამოცემის 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით, პროექტი იძენს ახალ ნომინაციას – „პოემის აკადემიური გამოცემები“.

კონკურსანტებს საშუალება ეძლევათ, 5-8 წუთის რეკლამენტში, სასურველ ენაზე წარმოადგინონ შერჩეული ეპიზოდები, ინსცენირება თუ ამ პოემისადმი შექმნილი დამოკიდებულება ესეს, ჩანახატის, პოეტური ნამუშევრის სახით. ასევე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების მიერ მომზადებულ ვიქტორინაში მიიღონ მონაწილეობა.

კონკურსანტთა შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მხატვრული კითხვის ხელოვნებას, პოემის მოქმედ, ცოცხალ სიტყვაში გარდასახვას, მართლმეტყველებას – ბგერათა სწორად და გარკვევით გამოთქმას, არაქართულთა მიერ ქართული ენის ფლობის უნარს, სამსახიობო ჩვევებს.

პროექტის ორგანიზატორები თხოვნით მიმართავენ ქალაქის, რაიონის რესურს-ცენტრებს, ადგილზე უზრუნველყონ კონკურსში მონაწილეთა შერჩევა.

პროექტში მონაწილეობის მსურველებმა, არა უგვიანეს 2012 წლის 25 მაისისა, უნდა წარმოადგინონ განაცხადი შემდეგი ინფორმაციით:

- სკოლის დასახელება, იურიდიული მისამართი;
- პროექტში ჩართულ მასწავლებელთა, მოსწავლეთა სია საკონტაქტო ნომრის მითითებით: (შერჩეული ეპიზოდის დასახელება, ორიგინალს ვკითხოვოთ თუ თარგმანს, ვიქტორინაში მონაწილეობა თუ წარმოადგენთ მინი-კომპოზიციებს) რეგისტრაციის შემდეგ მონაწილეობის მსურველთა მიხედვით ინსტრუქცია, თუ რა საშუალებებით გადაჭრან კონკრეტული ამოცანა. კონკურსანტებს ასევე დაურიგდებათ კითხვარი ვიქტორინაში ჩასართველად.

კონკურსის დასკვნითი ტური ჩატარდება 2012 წლის 14 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამოქალაქო განათლების დარბაზში.

განაცხადი წარმოადგინეთ მისამართზე: თბილისი, №24 საჯარო სკოლა, გაქოს ქ. №1
საკონტაქტო პირი – პროექტის ხელმძღვანელი თამარ ბარისაშვილი
ტელ. 577247767, E-mail: Barisashvilitamar@gmail.com



გთავაზობთ ტექსტის კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს



წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გალიტაშვილი, ამირან გომართელი
თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

- * კრებულებში ნახვით თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საბავშვოდ მოთვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- * მათი მუშაობით გაზიარებული ნაწარმოებებიდან;
- * სწორი პასუხების შემთხვევაში შედეგად თქვენ გაქვთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- * თქვენ შექვთ დაქვთ ყველა საბავშვოდ სირთულე.

კრებულების შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

ინფორმაცია

საქართველოს პრეზიდენტი, ბათუმში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტებს შეხვდა. მიხეილ სააკაშვილი სტუდენტებს დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების შესახებ ესაუბრა. ახალგაზრდებს ის ინიციატივები გააცნო, რომლებიც სტუდენტებს უკეთესად სწავლის უფრო მეტ შესაძლებლობას და სტიმულს მისცემს. კერძოდ, ისაუბრა ქართულ სტუდენტურ ბარათებზე, საზაფხულო დასაქმების პროგრამასა და სახელმწიფო გრანტის გაუმჯობესების შესაძლებლობაზე, აგრეთვე, სტუდენტების დაზღვევაზე.

ქვეყნის პირველი პირი იმ ინფრასტრუქტურულ და საგანმანათლებლო პროექტებსაც შეეხო, რომლებიც უკვე ხორციელდება როგორც ბათუმში, ისე მთელი საქართველოს მასშტაბით.

პრეზიდენტმა სტუდენტებს წინასწარ მიულოცა აჭარის რეგიონის წლისთავი და წარმატებები უსურვა.

სტუდენტური ბარათი

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო მუშაობა სტუდენტური ბარათების კონცეფციაზე.

სტუდენტური ბარათით სარგებლობა შეეძლება ნებისმიერ სტუდენტს.

ბარათის მეშვეობით, სტუდენტები ისარგებლებენ სხვადასხვა ფასდაკლებებით და შეღავათებით როგორც სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტით მგზავრობისას (რკინიგზა, მეტრო, ავტობუსი), ასევე კვების ობიექტებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებში, სხვადასხვა ტიპის სავაჭრო დაწესებულებებსა და კომპანიებში.

პრეზიდენტის ინიციატივას უკვე გამოეხმაურა არაერთი კერძო ორგანიზაცია, რომლებიც მზად არიან, მნიშვნელოვანი შეღავათები გაუწიონ სტუდენტებს.

სტუდენტური ბარათით სარგებლობა მსოფლიოში აღიარებული პრაქტიკაა.

სტუდენტური ბარათის მეშვეობით ყველა სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაიმარტივოს ცხოვრება.

გრანტის გაუმჯობესება ყველა სტუდენტს შეეძლება

პრეზიდენტის ინიციატივის მიხედვით, იმ სტუდენტებს, რომლებმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ ვერ მიიღეს მათთვის სასურველი გრანტი ან საერთო ვერ მიიღეს სახელმწიფო დაფინანსება, უმაღლესი სწავლის პერიოდში მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, ეძლევათ გრანტის გაუმჯობესების შესაძლებლობა.

მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტს, GRE-ის ტიპის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, სახელმ-



წიფო უმაღლესი სასწავლებლები დაუფინანსებენ სწავლების სრულ კურსს.

პირველ ეტაპზე, ამ პროგრამაში ჩართულები არიან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სადაც შეიქმნება სპეციალური ფონდი (გამოყოფილია 2 000 000 ლარი) და ყველა სტუდენტი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს გამოცდას, დაფინანსდება ამ ფონდის მიერ.

მომავალი წლიდან კი, ამ პროგრამაში ჩაერთვება ყველა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი. სასწავლებლების ბაზაზე შეიქმნება „ენდაუმენტის“ ფონდები და სწორედ ამ ფონდების მეშვეობით დაფინანსდება წარმატებული და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები.

SUMMER JOB

წელს პირველად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამა Summer Job ხორციელდება. პროექტი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ზაფხულის არდადეგების პერიოდში, 2012 წლის 20 ივლისს ამოქმედდება და 20 აგვისტომდე გასტანს.

მასში მონაწილეობა საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის სტუდენტებს შეუძლიათ. პროექტის ფარგლებში, ოცდახუთი ათასი სტუდენტი დასაქმდება და მათი ხელფასი 500 ლარი იქნება.

სტუდენტები სამოცდაათამდე სფეროში დასაქმდებიან, კერძოდ: სახელმწიფო დაწესებულებებში, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორებში, იურიდიულ კომპანიებში, მუზეუმებში, საავადმყოფოებში, თვითმმართველობის ორგანოებსა და ა.შ. საპრეზიდენტო პროექტში სახელმწიფო უწყებები და კერძო სექტორია ჩართული.

პროექტი Summer Job გამოიწვევს იმისათვის, რომ სტუდენტმა შეძლოს კვალიფიკაციის ამაღლება და გამოცდილების მიღება იმ სფეროში, რომელშიც მომავალში სურს დასაქმდეს. ასევე, გამოუმუშავებული თანხა მას საშუალებას აძლევს, საკუთარი სწავლა დააფინანსოს ან გამოიყენოს შემეცნებისთვის, მოგზაურობისთვის, დასვენებისა და ა.შ.

პროექტი ზამთარშიც გაგრძელდება.

მნიშვნელოვანია, სტუდენტმა საზაფხულო არდადეგები ნაყოფიერად გამოიყენოს. ამგვარი პრაქტიკა დანერგილია და წარმატებით ხორციელდება დასავლეთის ქვეყნებში.

საგანმანათლებლო კერა

მარტვილი - კოლხური სივილიზაციის განუყოფელი ნაწილი

კოლხეთი, იგივე ლაზიკა და ეგრისი, რომელიც ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს, ერთნაირად ისრუტავდა საბერძნეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურის მიღწევებს. ამასთანავე, თავად ახდენდა ზეგავლენას მეზობელი ქვეყნების სულიერ ცხოვრებაზე. პირველი ცნობები კოლხური ტომების შესახებ ჩნდება IX-VIII საუკუნეებში, ჰომეროსის „ილიადასა“ და „ოდისეაში“.

ბერძნებმა, შავი ზღვის სანაპიროზე კოლონიზაციის დანაშაულის შემდეგ კოლხეთთან მჭიდრო კონტაქტი დაამყარეს არა მარტო ალბე-მიციმობაში, არამედ სულიერი და მატერიალური კულტურის ყველა სფეროში. ამის შესახებ მრავალი ცნობაა დღემდე მოღწეული ჰესიოდეს, ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, არიანეს, პტოლემოსის, ტაციტუსის, ავათიას, მენანდრეს, სტრაბონის, პროკოფი კესარიელისა და სხვათა ნაშრომებში.

მითი „არგონავტების“ შესახებ უხვ მასალას გვაწვდის კოლხური ცივილიზაციის მიღწევებზე. კოლხეთის მეფის, აიქის ასული მედეა, ფრიად დახელოვებული ყოფილა მედიცინაში. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული ტერმინი „მედიცინა“. თვალსაჩინო მეცნიერის, გივი ელიაშვილის ვარაუდით, მედეა სამკურნალო მცენარეებს აგროვებდა ჰეკატეს ბაღში, რომელიც დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე მდებარეობდა. „არგონავტებში“ ნათქვამია, აიქის ასული მედეა ქალღმერთ ჰეკატის ქურუმი იყო, ყოველდღე დადიოდა მის ტაძარში და მას ემსახურებოდა. ჰეკატე, როგორც ცნობილია, მთვარის ქალღმერთია.

კოლხეთში, ძვ.წ. VI საუკუნეში, არსებობდა სახელმწიფო, იჭრებოდა ფული, ე.წ. „კოლხური თეთრი“. მას ჭრიდნენ კოლხეთის მეფეები. უკეთ რომ ნარმოვიდგინოთ, თუ როგორი ახლო კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ კოლხებსა და ბერძნებს ერთმანეთთან, მრავალ ფაქტთა შორის, ერთ მაგალითს დავასახელებ: მეოთხე საუკუნის გამოჩენილ ბერძენ ფილოსოფოსს და რიტორს თემისტოქოსს უმაღლესი განათლება მიუღია კოლხეთში, ფოთის მახლობლად ფილოსოფიურ-რიტორიკულ სკოლაში. მისივე ცნობით, თემისტოქოსი ერთ პატარა ქალაქში ლექციებს კითხულობდა, მისთვის ახალგაზრდას წერილი გადაუტყდა თხოვნით, დახმარებოდა, კონსტანტინეპოლში მოეწყო სწავლის მისაღებად. მომდევნო ლექციის დროს ამ ახალგაზრდა ვაჟისთვის თემისტოქოსს ასეთი პასუხი გაუცია: „მეცნიერებას არ ესაჭიროება განთქმული დედაქალაქი. ოდისევსმა ითაკაზე მიიღო განათლება, ნესტორმა - პილოსში. მეც, ჩემი კარგო, მჭერმეტყველების ნაყოფი მოეწყვიტე გაცილებით უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არამედ პრონტოს ბოლოში, ფაზისის (ფოთის) მახლობლად... იქ ჩავედი არა საკუთარი მისწრაფებითა და გადაწყვეტილებით, არამედ ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა გამაგზავნა, როგორც შეიძლება იყოს მამა, და ისეთმა მართებულად ფილოსოფოსმა, როგორც - ფილოსოფოსმა. მანაც ფილოსოფიური ცოდნა სწორედ იქ შეიძინა“. ამკარად რკვევა, რომ ფოთის მახლობლად არსებულ რიტორიკულ სკოლაში განათლება მიუღია თემისტოქოსის მამას, ევგენიოსს, რომელიც შემდგომში ფილოსოფიის სწორუბოვარი მასწავლებელი იყო კონსტანტინეპოლში.

ბერძენი ფილოსოფოსის მიერ ბარბაროსული ქვეყნის (ბერძენები ყველა არაბერძენს ბარბაროსს უწოდებდნენ) „მუხუბის ტაძრად“ აღიარება დიდი პატივი იყო. ამ სკოლაში, უცხოელებთან ერთად, ბუნებრივია, სწავლობდნენ ადგილობრივი კოლხები. ეს სკოლა რომ ნარმატებული იყო, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ საუკუნეების შემდეგ, ბიზანტიის მოხელის მიერ კოლხეთის მეფის, გუბაზის მოკვლის გამო, ადგილობრივ დიდებულთა საიდუმლო თათბირზე გამოსული ორი ორატორის - აიქის და ფარტაზის მოხსენიება მჭერმეტყველების კლასიკური ნიმუშია. უეჭველია, რომ მათ განათლება მიღებული ექნებოდათ იმ სკოლაში, სადაც ორი საუკუნის წინ სწავლობდნენ თემისტოქოსი და მისი მამა ევგენიოსი.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, სიმონ ყაუხჩიშვილის ვარაუდით: „კოლხთა მაღალ წრეებში ბერძნული ენა გავრცელებული იქნებოდა, მაგრამ უმაღლეს სკოლაში, რასაკვირველია, პირველ რიგში ადგილობრივი ენა იქნებოდა ძალაში, როგორც განათლების ენა. მის გვერდით ბერძნული ენას საპატიო ადგილი ექნებოდა დათმობილი“.


გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მეოთხე საუკუნეში, ბიზანტიის გზით, კოლხეთში შემოვიდა ქრისტიანობა და 325 წელს, ნიკეის მსოფლიო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად, მიწვეული იყო კოლხეთის წარმომადგენელი - ეპისკოპოსი სტრატიფილი.

მომდევნო საუკუნეებში კოლხეთში (რომაელების შემოსევის შემდეგ ლაზიკას ან ეგრისს უწოდებდნენ, ხშირად წყაროებში პარალელურად ხმარობდნენ) მონაპოვრებთან პარალელურად ხმარობდნენ მონასტრებთან ფუნქციონირებდა სასწავლებლები. ამ განათლების ცენტრებში მარტო მღვდელმსახურებს კი არ

ასწავლიდნენ, არამედ ყველა იმ საგანს, რომელიც მიღებული იყო განათლებულ მსოფლიოში - ე.წ. „ტრივიუმ-კვადრიუმ“, ე.ი. შვიდი ძირითადი საგანი: ფილოსოფია, გრამატიკა, რიტორიკა, მუსიკა, ასტრონომია, არითმეტიკა და გეოგრაფია. სავარაუდოა, რომ მედიცინასაც ასწავლიდნენ.

მეჩვიდმეტე საუკუნიდან სამეგრელოში კულტურის ცენტრების დაქვეითების პროცესი იწყება. ამას ხელი შეუწყო ფეოდალურმა დაქუცმაცებულობამ, მტერთა გამუდმებულმა თარეშმა. თითქმის გაწყდა კავშირი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის. ოდიშის სამთავროს კულტურის ცენტრში - მარტვილი, ბედა, მოქვი და სხვ. - სწავლა-განათლების საქმე ჩაფერფლიდა. სასულიერო ნოდება, რომლის ხელშიც იყო იდროინდელი სწავლა-განათლების საქმე, ისე დაქვეითებულა, უმრავლესობას ქართული ენა და წერა-კითხვა დაეწინაურა. იტალიელი მოგზაურისა და მისიონერის, ლამბერტის თქმით: „ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, ქალებს რომ არ შეენახათ იგი. ისე რომ, ვინმეს თუ უნდა კითხვა შეისწავლოს, რომელიმე ქალს უნდა მიეპაროს სასწავლებელი“. ანალოგიურ მოსაზრებას გვაწვდის ფრანგი მოგზაური შარდენი: „მღვდლებში მცირე ნაწილს ესმის ეს ენა, ამიტომ ისინი ამას იზებირებენ და ისე ასრულებენ წიგნებს, არამც თუ მღვდლები, ეპისკოპოსებსაც არ ესმით და ვერ კითხულობენ საღმრთო წერილს. მამაკაცებში წერა-კითხვა მცირე ნაწილმა იცის. წერა-კითხვის მცოდნე ქალები უფრო მეტია“.

სწავლა-განათლების დაკნინების პროცესი დამახასიათებელია მთლიანად ამ ეპარქიის ყველა მხარისთვის. ათას ჭირ-ვარამგამოვლილი დავით გურამიშვილი განა ამაზე არ ჩიოდა, რომ ფამთა სიავის გამო, იმ დროს ყრმანი დარჩნენ „უნგრთნელ-უცები“.



სელგარჯილობის გაკეთილი მარტვილის სასწავლებლებში, მასწავლებლები - გულუ გაბისონია და ნიკოლოზ ოსიძე

XIX საუკუნის დასაწყისიდან, ქვეყანაში, იწყება კულტურული გამოცოცხლება. ეკლესია-მონასტრები კვლავ იბრუნებს დაკარგულ ფუნქციებს განათლების დარგში. ერთ უბრუნებულ ნარსუსის ტრადიციების აღორძინებას, დასავლეთ საქართველოში ამის მოთავედ ჭყონდიდის ეპარქია გვევლინება.

მარტვილი, უძველესი დროიდან, ცნობილია, როგორც განათლებისა და კულტურის დიდი კერა. მეათე საუკუნეში, ჭყონდიდში, მოღვაწეობდნენ სწორუბოვარი ჰიმნოგრაფები - ივანე მინჩხი და სტეფანე სანასიოძე. მარტვილში, იმავე ჭყონდიდში, იწერებოდა და ვრცელდებოდა უნიკალური სასულიერო და საერო ნაწარმოებები. უეჭველია, ამ კულტურულ კერასთან დაკავშირებულია მნიშვნელოვანი როლი, რომლის უშუალო ზედამხედველობით, მისივე დიდებულ ალიზარდა საქართველოს უბრწყინვალესი მეფე დავით აღმაშენებელი. ამ კერას უკავშირდება დიდი მოძღვრის - ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელის მოღვაწეობაც, რომელიც მარტვილში შექმნა ქართული სახელმძღვანელო ლოგიკასა და ფსიქოლოგიამ.

ასეთი დიდი ისტორიული და კულტურული წარსულის გამო, 1830 წელს, საგანმანათლებლო სასწავლებლის დასაფუძვლად სწორედ ეს კერა შეირჩა. „სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი, სრულიად ბუნებრივად, უნდა განსწავლავს მარტვილში, ჭყონდიდის ტაძრის გვერდით, ჭყონდიდისა და მონასტრის გავლენის ქვეშ, რადგან სამეგრელოში მარტვილს ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორც რომის ქალაქს ფრანგთა შორის დასავლეთის ეკლესიაში“ - წერდა გაზეთი „ივერია“ 1878 წელს.

თბილისის სემინარიის მმართველობა 1830 წლის 2 სექტემბრის №1291 მონებრილობა ადასტურებს, რომ „სამეგრელოს მმართველის, თავად ლევან დადიანისა და ან ვანსვერტის უფანმანათლებლობის მიტროპოლიტ ბესარიონის ნინადადების გაიხსნას სამეგრელოში, მარტვილის მონასტრთან, სასულიერო სასწავლებელი 30 მოსწავლისათვის“.

მარტვილი შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობით და პავით გამოირჩეოდა მთელ სამეგრელოში. ეს ადგილი მდიდარია სუფთა, ცივი წყლებით და ჯანსაღი ჰაერით. ის გური-



მარტვილის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლები და სასულიერო მსახურნი, 1890 წ.

სამეგრელოს ეპარქიის ცენტრი იყო.

სასწავლებელი ორი კლასიგან შედგებოდა, სწავლების ვადა იყო ორი წელი, ასწავლიდნენ: საღვთო რწმუნებას, რუსულ ენას, არითმეტიკას და სუფთა წერას. იონა მუხარგია ასეთ ცნობას გვაწვდის: „1852 წელს მთავარი დავით დადიანი შეეკითხა ოდიშ-ლერჩხუმის მდივან-ბეგებს, მოეხსენებინათ მისთვის, სხვათა ცნობათა შორის, იხიცი, თუ რამდენი სასწავლებელი იყო მათადმი რწმუნებულ მასწავლებლებში. ამ კითხვაზე რვა მდივან-ბეგიდან შეიძმა მოახსენა, რომ მათ მასწავლებელი არ მოიპოვებოდა და მხოლოდ ერთმა, მარტვილის მდივან-ბეგმა მოახსენა, რომ მის მასწავლებელს არსებობდა ერთი სასწავლებელი, მარტვილის სასულიერო სასწავლებელი“ ამ სასწავლებელში სწავლობდნენ: სასულიერო პირთა 97 შვილი, ხოლო სამოქალაქოთა - 5. პირველი დეკანოზი იყო რომანოზ ბარისოვი, შემდგომ მას მოჰყვა დეკანოზი დავით მაჭავარიანი.

ამ სასწავლებელში მიუღიათ სწავლა-განათლება გამოჩენილ პიროვნებებს: თედო სახოკიას, ცნობილ პოეტს გიორგი ჭალადიდეს (ქოჩაკიძეს), მწერალ კორტოხას (ძიმისტარაშვილს) და სხვ. მწერალი კ. ბოროდინი დადიანის ამალაში შემავალი კეთილშობილი ახალგაზრდების შესახებ წერდა: „ეს მშვენიერად განავული, ზრდილობიანი, მოხერხებული, ტრადიციული, თითქმის ყველა რუსულის მცოდნე, უმთავრესად მარტვილის სასულიერო სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდობა, ოსტატურად ასრულებდა ყველა ცეკვებს და გუნდურ მეგრულ სიმღერებს“.

1870 წლის 19 თებერვალს გაზეთი „დროება“ წერდა: „ამ სასწავლებელს ბევრი ცვლილება გამოუცვლია თავის სიკოცხლებში; თავის დაწესების შემდეგ ის ხან საცოცხად იყო და, სასწავლების უქონლობის გამო, ორკლასიანად ხდიდნენ“. გაზეთის ცნობით, 1868 წლის სექტემბერში, კრება გამართულა და საკუთარი სამმართველო შეუქმნიათ, რომელსაც სასწავლებელზე ზრუნვა ევალებოდა. „სამმართველომ მოიწვია კეთილსინდისიერი და მცოდნე მასწავლებლები, წერს „დროება“, რომლის საშუალებით ჩვენი შვილები აღზრდა მარტვილის სასწავლებელში, იმედია, უკეთ ნავა, ვიდრე აქამდე მიდიოდა“.

გამძლე გზა გამოიარა სასწავლებელმა. მისი არსებობის ისტორიაში სამახსოვრო თარიღებია: 1830 - სამეგრელოს პირველი სამრევლო სასულიერო სასწავლებელი; 1833 - სამეგრელოს საბაზო სასულიერო სასწავლებელი; 1882 - სამრევლო სკოლა; 1917 - გიმნაზია; 1921 - ჰუმანიტარული ტექნიკუმი; 1924 - ცხრანლიანი შრომის სკოლა; 1930 - ათწლიანი სკოლა; 1931 - საცდელი სანიმუშო შეიქმნა შრომის სკოლა; პარალელურად, მის ბაზაზე შეიქმნა გეგმეჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი; 1936 - გეგმეჭკორის პირველი საშუალო სკოლა; 1955 - ნამრევი მთიანეთის საშუალო სკოლა; 1999 - სკოლას მიენიჭა საქართველოს ვაზირთუპირველესის, მნიშვნელოვანი ცესის, დავით აღმაშენებლის აღმზრდელისა და თანამებრძოლის - გიორგი ჭყონდიდელის სახელი; ამჟამად იწოდება მარტვილის №1 საჯარო სკოლა.

1965 წლის 25 დეკემბერს სკოლამ დაარსებიდან 135 წლის იუბილე გადაიხადა. ეს იყო სახალხო განათლების ნამდვილი ზეიმი. მასში აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი საზოგადოებრივი მოღვაწეები და მეცნიერები: ბ. ჭილაია, ლ. ჩიქვანია, ა. კოკია, კ. ნოდია, გ. ელიავა, ვ. ხაჩიშვილი, პ. კირთაძე, ვ. ნანავა, ა. ჭილაია და სხვ.

1982 წელს მთელმა რაიონმა იზეიმა გეგმეჭკორის პირველი საშუალო სკოლის 150-ე წლის იუბილე, რადგან ეს სახალხო იუბილე ყველას ერთნაირად ეკუთვნოდა. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ზეიმიზე სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ საპატიო სტუმრები, აღმზრდელთა კულტურის იმ კერას გამოადგენდა, რომელ-

მაც დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის თვითმეცნიერებასა და სახელგანთი წარსულის ღირსეული ტრადიციების დაცვაში. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, ო. დოლიძემ საიუბილეო საღამოზე სკოლის პედაგოგთა ერთ ჯგუფს საპატიო სიგელები გადასცა. სკოლა დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. ამავე წელს, სკოლას გადაეცა ახლად აშენებული სამსართულიანი კაპიტალური შენობა.

2000 წლის 23 დეკემბერს დაარსებიდან 170 წლის იუბილე აღინიშნა. წინა იუბილეების ანალოგიურად, ესეც საერთო სახალხო ზეიმი იქცა. ამ იუბილეების შესახებ ბევრი დაინერა პრესაში.

მარტვილის პირველმა საშუალო სკოლამ, დაარსებიდან დღემდე, 6500-ზე მეტი კურსდამთავრებული გამოუშვა, მათ შორის 80-ზე მეტი პროფესორი და მეცნიერებათა კანდიდატი.

1951 წელს, რესპუბლიკაში პირველად, ჩვენს სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა შიდა-სასკოლო სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია, რომლის ინიციატორი იყო მარტვილის ეროვნული მუზეუმის ყოფილი დირექტორი, ღვაწლმოსილი მეცნიერი გივი ელიავა.

ამ სკოლაში მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ სახელმწიფო პედაგოგები: ნოე ქუთათელიძე, სოლომონ ქუთათელიძე, აქვსენტი ფარულავა, ნიკოლოზ ოსიძე, ივლიანე მარკოზია, დავით ჯავახია, დავით მახსუღია, მართა ჩიქვანი, იროდი ცანავა, ლევან ფოცხორაია, თინა გეგეჭკორი და სხვ.

მარტვილის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა საქართველოს კათალიკოს-პატარქმა ამბროსი ხელიაძე. 2012 წლის 29 მარტს, მარტვილში, ჭყონდიდელის მიტროპოლიტის პეტრეს ლოცვა-კურთხევით და ჭყონდიდელის ეპარქიის მხარდაჭერით, აღინიშნა ამბროსი ხელიაძის დაბადებიდან 150 წლის იუბილე. ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, რაიონის მკვიდრის - ბუბა კუდავას თაოსნობით, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, მოაწყო წინადა ამბროსი აღმსარებლის საარქივო მემკვიდრეობის დიდი გამოფენა.

მარტვილის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები ინტერესით გაეცნენ მათი დიდი წინამორბედის მონაპოვრები ცხოვრების შთამბეჭდავ მასალას, რომელსაც ლეიტმოტივად გასდევდა წინდინის სიტყვები: „ჩემი სული ეკუთვნის ღმერთს, გული - სამშობლო საქართველოს“.

განათლების რეფორმამ ძირიულად შეცვალა სწავლების შინაარსი, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პედაგოგიური კადრების გადამზადების პროცესს, გადახალისდა სკოლის ტექნიკური არსენალი, შემოღებულია კომპიუტერული სწავლება. სასწავლო წლის დასაწყისში პირველკლასელებს გადაეცათ ინდივიდუალური ბუკები. 2002 წლიდან სკოლაში მოწვეული იყო ამერიკის მშვიდობის კორპუსის მიერ მოვლინებული ინგლისური ენის მასწავლებელი რენდელ ქოლდუელი. სხვადასხვა დროს, სკოლაში 4 ამერიკელი ინგლისური ენის მასწავლებელი მუშაობდა.

1982 წელს აშენებული სკოლის კორპუსს კაპიტალური ევორემონტი ჩაუტარდა, აღიჭურვა თანამედროვე ტიპის სასკოლო ინვენტარით. სკოლას ხელმძღვანელობს ამავე სკოლის ურსდამთავრებული, ეროვნული, ენერგიული პიროვნება ალექსანდრე კეკელია, რომლის თაოსნობით სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღირსეულად აგრძელებს წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებულ ტრადიციებს და აქტიურადაა ჩაბმული განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების განხორციელების საქმეში.

გურამ გალდაძემ მარტვილის №1 სკოლის ქართული ენისა და ისტორიის მასწავლებელი

ინფორმაცია



7 მაისს საქართველოს მასშტაბით არსებულ ყველა პროფესიულ კოლეჯში 2500-მა სოციალურად დაუცველმა სტუდენტმა დაიწყო სწავლა. თითოეულ მათგანს 1000-ლარიანი ვაუჩერი გადაეცა და ამით შესაძლებლობა მიეცა რეაბილიტირებულ, თანამედროვედ აღჭურვილ კოლეჯში პროფესიული განათლების მიღების მიზნით სწავლას და დაეხმარებინათ პროფესიული განათლების მიღებაში.

წელს პირველად, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, პროფესიული განათლების ვაუჩერული დაფინანსების პროექტი ამოქმედდა. სახელმწიფო ყველა მსურველს, ვინც პროფესიულ კოლეჯში სწავლას გადაწყვიტავს, ათასლარიანი ვაუჩერით დაეხმარება. წლის განმავლობაში, ვაუჩერული დაფინანსებით, 7 000 ადამიანი ისწავლის. ვაუჩერით სრულად დაფინანსდებიან სოციალურად დაუცველი სტუდენტები, ასევე, მიმდინარე წლის ცხრაკლასადამთავრებულები და მეთორმეტეკლასელები, რომელთაც სკოლის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტეს პროფესიულ განათლებას დაეუფლონ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შამუგია პროფესიულ კოლეჯ „სპექტრს“ ეწვია. მინისტრი შემდგომეტიველი და ელექტრონიკის სახელოსნოში ახალი პროექტის ფარგლებში ჩარიცხულ სოციალურად დაუცველ სტუდენტებს შეხვდა. 7 მაისს, ამ კოლეჯში, 1000-ლარიანი ვაუჩერით დაფინანსებული 250 სოციალურად და-

უცველი სტუდენტი შეუდგა სწავლას. „სპექტრში“ მსურველები ისეთ მოთხოვნად პროფესიებს ეუფლებიან, როგორცაა: მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი; ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების სპეციალისტი; ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემის მემონტაჟი; მღებავი; სასურსათო პროდუქტის ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი; ძრავის შემკეთებელი; სავალი ნაწილის ტექნიკოსი; შემდგომეტიველი; ელექტრიკოსი; მეფილე-მომპირკეთებელი; ინტერნეტტექნოლოგი; ვებსპეციალისტი და სხვ.

თანამედროვე სტანდარტების ფოთის პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“, 7 მაისიდან, ვაუჩერული დაფინანსების ახალი პროექტის ფარგლებში, 200 პროფესიულ სტუდენტს მიიღებს. სოციალურად დაუცველი მოქალაქეები აქ პროფესიული განათლების მიზნით სწავლას დაეხმარება პროფესიული განათლების მიზნით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შამუგია ფოთის პროფესიულ კოლეჯს ეწვია და სტუდენტებთან ერთად სასწავლო სახელოსნოები დაათვალიერა. შემდგომეტიველი სახელოსნოში მინისტრმა ამ პროფესიულ თავისი შესაძლებლობაც გამოსცადა.

კოლეჯი „ფაზისი“ მომსახურების, მშენებლობისა და ტურისტების სფეროსთვის ამზადებს შემდგომეტიველი სპეციალისტებს: ძრავის შემკეთებელი; სავალი ნაწილის ტექნიკოსი; მებათქაშე; შემდგომეტიველი; სასტუმრო საქმის სპეციალისტი; სარესტორნო საქმის მწარმოებელი; დურგალი; ელექტრიკოსი; სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი; ზეინკალ-სანტექნიკოსი; მეფილე-მომპირკეთებელი; რკინა-ბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი; გიდი; ტურისტოპერატორი; კონდიტერი და სხვ.

პრეზიდენტის ინიციატივით, წელს პირველად, პროფესიული განათლება ვაუჩერული დაფინანსებაზე გადავიდა. 7 მაისიდან, საქართველოს მასშტაბით, 15 პროფესიულ კოლეჯში 2000-მდე სოციალურად დაუცველი სტუდენტი ისწავლის.

მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადება სახელმწიფო პრიორიტეტს წარმოადგენს, შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრო, პროფესიული განათლების განვითარების კუთხით, მნიშვნელოვან რეფორმებს ატარებს. მინისტრო ზრუნავს როგორც კოლეჯების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციაზე, ასევე იმაზე, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მომზადებული კადრები პროფესიული ბაზრის მოთხოვნებს პასუხობდნენ. ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით არსებული პროფესიული კოლეჯების ურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელია 75%.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტროს განცხადებით, რაიონის სოფელ ჩიბათში ახალი სკოლის მშენებლობის სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ახორციელებს. ამჯერად, სკოლის გადახურვა, შიდა სარემონტო სამუშაოები და გარე პერიმეტრის მოწესრიგება მიმდინარეობს. მშენებარე სკოლა მინისტრმა დიმიტრი შამუგია დაათვალიერა.

სოფელ ჩიბათის სკოლის ძველი, საუკუნოვანი შენობა ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, არასოდეს ჩატარებია სარემონტო სამუშაოები. ერთი წლის წინ სკოლას ჩაუტარდა დემონტაჟი და მის ადგილზე ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყო. 2012 წლის სექტემბრიდან ამ სოფლის მოზარდები თანამედროვე სტანდარტების საჯარო სკოლაში ისწავლიან.

ახალი სკოლის შენობა თანამედროვედ აღიჭურვება, სკოლას ექნება თანამედროვე გათბობა, სასწავლო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი და ღია სპორტული მოედანი. სკოლა 300 მოსწავლეს გათვლილი.

სკოლების რეაბილიტაცია, ახალი სკოლების მშენებლობა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, პრეზიდენტის მიერ ინიცირებული სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება. მომავალი სასწავლო წლისათვის 600-ზე მეტი სკოლა გარემონტდება და 23 ახალი სკოლა აშენდება.



„მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად“

შ.პ.ს. „თამარ გარეჯელის“ სკოლაში ჩატარდა ლაღო ასათიანის პოეზიის საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ ამავე სკოლის IV-IX კლასის მოსწავლეები. ბავშვებმა ისაუბრეს ლაღო ასათიანის ბიოგრაფიაზე, ყურადღება გაამახვილეს პოეტის სიცოცხლის უკანასკნელ წლებზე, აღნიშნეს, თუ რა საოცარი ვაჟკაცობით ებრძოდა 26 წლის ახალგაზრდა გარდაუვალ ალსასრულს. მის წერილებსა თუ პოეზიაში არსად ჩანს ბედთან შერიგებისა და სასოწარკვეთის ნიშნები. პირიქით, მხოლოდ ლაღოსნაირ ოპტიმისტს, სიცოცხლით „გაუმადლარ“ პოეტს შეეძლო ეთქვა: „მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსად“. სწორედ ეს სიტყვები იყო პოეზიის საღამოს მთავარი ფრაზა, რომელიც ლაღო ასათიანის სურათის გვერდით ლამაზად წავსწრეთ.



ბიოგრაფიული ეპიზოდების გახსენებას თან სდევდა ლაღოს საოცარი ლექსების კითხვა. პოეტის ლექსების უმრავლესობა ხომ მისი ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდს ეხება, რატომ უყვარდა „რუსთაველის პროსპექტზე ხეტიალი“, რატომ იხსენებდა ცრემლიანი თვალით ბარდნალას, რატომ უყვარდა თბილისი და ფიროსმანი, როგორ შეიქმნა ლექსი „სასაფლაო“ და ა.შ.

მოსწავლეებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ლაღოს ყველა ლექსი გულიდან მოდის, ამიტომაც ღრმად წვდება ნებისმიერი ასაკის ადამიანის გულსა და გონებას და არასოდეს გვაინტერესებს. განა შეიძლება ცრემლი არ დაღვაროს „ქრწანისის ყაყაჩოების“ კითხვისას? შთაბეჭდილი იყო ქართულ ჩოხაში გამოწყობილი მეშვიდეკლასელი გიორგი შათირიშვილის მიერ წაკითხული „სალაღობო“.

მოგესხენებათ, ლაღო ასათიანს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის დიდი ფიროსმანის უკვადავი სახელის პოპულარიზაციაში. მეცნიერულასელებმა წაიკითხეს და ინსცენირებულად გადმოსცეს „ფიროს-



სოვნის საღამოზე ერთ-ერთი ყველაზე ამაღლებელი მომენტი მაშინ დადგა, როდესაც მეექვსეკლასელი მარი თედიაშვილი საუბრობდა პოეტის გარდაცვალებაზე. საეკლესიო საგალობლების ფონზე, ყველა ფეხზე წამოდგა და დაანთეს სანთლები დიდი პოეტის ხსოვნის



უკვდავსაყოფად. ღონისძიებაში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ IV კლასის მოსწავლეები. მათ შემდეგ, კარგად წაეკითხათ ლაღო ასათიანის ბევრი შედარებით რთული ლექსები: „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „საახალწლო“, „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“, „ვერიკო ანჯაფარიძის“, „ქართული ენა“ და ა.შ.

ღონისძიებაში მონაწილე ყველა მოსწავლემ მიიღო სიგელი, რითაც დირექციამ ჯეროვნად შეაფასა ჭეშმარიტი პოეზიისადმი მათი სიყვარული, ამ სიყვარულის გამოხატვის უნარი. ყველა მოსწავლე თავისებურად გამოირჩეოდა, მაგრამ არ შემოიძლია, არ გამოყოფილი ნინო რევაზიშვილი, ასმათ ნინოშვილი, გიორგი სულიკაშვილი, იოსებ სიბოშვილი (IVკლ.), მარი ვარაზიშვილი, ლექსო მეგრელიშვილი (Vკლ.), მარი თედიაშვილი, ნათია თედიაშვილი, ნათია ივანელაშვილი (VIკლ.), ვაკო გოგიტაშვილი (VIIIკლ.), გიორგი მახარაძე (IXკლ.).

ამ მშვენიერი საღამოს მომზადებისთვის განსაკუთრებული მად-

ლობა მინდა ვუთხრა IV კლასის ხელმძღვანელს მარია ტაბერაშვილს, VIII კლასის ხელმძღვანელს თამარ ტაყალიშვილს, V-VI და IX კლასის ხელმძღვანელებს, ასევე ყველა პედაგოგსა და დირექციას, ვინც ხელს გვიწყობდა და გვეხმარებოდა.

დღესაც ლაღო ასათიანი პრაგმატიზმით წაღვიკლ 21-ე საუკუნის მოქალაქეებს შეახსენებს:

„მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ და დილის ნამით გაიღუმებები, თუ ეს ერთხელაც არ განვიცდია, სიტყვის უთქმელად დაიღუმებები“.

ჩემი მიზანიც სწორედ ეს იყო: წიგნსაცდენილი, პოეზიისაცდენილი თაობა ლაღო ასათიანის დახმარებით შემომებრუნებინა ქართული პოეზიის სილამაზისკენ და საერთოდ, მშვენიერებისაკენ. თუ ნაწილობრივ მაინც შეეძელი ეს, თავს ბედნიერად ჩავთვლი.

დარეჯან კარატიშვილი


შ.პ.ს. „თამარ გარეჯელის“ სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



ფიზიკის კვლევითი დასახმარებლად

ამოცანა 54.

pT -დიაგრამაზე გამოსახულია ჩაკეტილი პროცესი, რომელსაც ასრულებს გარკვეული მასის ჟანგბადი (იხ. სურათი). განვსაზღვროთ ჟანგბადის მასა და მისი მოცულობა წერტილში 1, თუ მთელი ამ პროცესის განმავლობაში აირის მაქსიმალური მოცულობა იყო $16,4 \text{ დმ}^3$. T_1, T_2, p_1 და p_2 მნიშვნელობები სურათზეა მოცემული.



ამოხსნა:

იდეალური აირის მდგომარეობის განტოლებიდან აირის მოცულობა ტოლია:

$$V = \frac{mRT}{Mp}$$

საიდანაც ჩანს, რომ მოცულობა მაქსიმალურია მესამე მდგომარეობაში (მაქსიმალური ტემპერატურისა და მინიმალური წნევისას). ამ ფორმულაში m არის აირის მასა, R - უნივერსალური მუდმივა, $M=0,032 \text{ კგ/მოლი}$ - ჟანგბადის მოლური მასა. თუ გამოვიყენებთ ამ ფორმულას მდგომარეობა 3-სთვის, შეგვიძლია გამოვთვალოთ ჟანგბადის მასა:

$$m = \frac{Mp_3 V}{RT_3}$$

სადაც $V=16,4 \text{ დმ}^3$ არის მოცულობის მაქსიმალური მნიშვნელობა. ცნობილი სიდიდეების ამ უკანასკნელ ფორმულაში ჩასმით მივიღებთ

$$m = \frac{0,032 \cdot 10^5 \cdot 0,0164}{8,31 \cdot 400} \approx 16 \text{ გ.}$$

ახლა დავწეროთ იდეალური აირის მდგომარეობის განტოლება მდგომარეობა 1-სთვის:


$$p_1 V_1 = \frac{m}{M} RT_1$$

აქედან განვსაზღვროთ V_1 და გამოვიანგარიშოთ:

$$V_1 = \frac{m}{Mp_1} RT_1 = \frac{0,016 \cdot 8,31 \cdot 300}{0,032 \cdot 10^5} \approx 12,5 \text{ დმ}^3$$

ამოცანა 55.

$S=10 \text{ სმ}^2$ ფართობის ცილინდრი დახურულია მძიმე დეღუმით (იხ. სურათი). ცილინდრის $2g$ აჩქარებით ვერტიკალურად ზევით ამოძრავებისას დეღუმის ქვეშე არის მოცულობა $1,5$ -ჯერ შემცირდა. გავიგოთ დეღუმის მასა, თუ ატმოსფერული წნევა $p_0=10^5$ პა. აირის ტემპერატურა ამ პროცესისას მუდმივად ჩავთვალოთ.



ამოხსნა:

უმრავლეს მდგომარეობაში დეღუმზე მოქმედებს ვერტიკალურად ქვევით მიმართული სიმძიმის ძალა (mg), ატმოსფერული წნევის ძალა ($p_0 S$) და ზევით მიმართული ცილინდრში არსებული აირის წნევის ძალა ($p_1 S$). დეღუმის წონასწორობისას $p_1 S = p_0 S + mg$. საიდანაც $p_1 = p_0 + mg/S$. ნიუტონის მეორე კანონის თანახმად, ცილინდრის $2g$ აჩქარებით ვერტიკალურად ზევით ამოძრავებისას გვექნება: $p_2 S - p_0 S - mg = 2mg$, სადაც p_2 აჩქარებულად მოძრავ ცილინდრში აირის წნევაა. გამოვსახოთ ეს წნევა ამ უკანასკნელი განტოლებიდან: $p_2 = p_0 + 3mg/S$. დავწეროთ იდეალური აირის მდგომარეობის განტოლება აირის ამ ორი მდგომარეობისთვის და გავითვალისწინოთ, რომ პროცესი იზოთერმულია:

$$\left(p_0 + \frac{mg}{S}\right) 1,5V = \left(p_0 + \frac{3mg}{S}\right) V$$

აქ V არის მოცულობა ცილინდრის აჩქარებული მოძრაობის დროს. მიღებული განტოლებიდან მასის მნიშვნელობისთვის მივიღებთ:

$$m = \frac{p_0 S}{3g} = 3,3 \text{ კგ.}$$

ამოცანა 56.

განვსაზღვროთ $m_1=4 \text{ გ}$ წყალბადისა და $m_2=32 \text{ გ}$ ჟანგბადის ნარევის სიმკვრივე 7°C ტემპერატურაზე და $p=10^5$ პა წნევისას.

ამოხსნა:

აირების ნარევის სიმკვრივე ტოლია: $\rho = \frac{m_1 + m_2}{V}$,

სადაც V აირების მოცულობაა (იმ ჭურჭლის მოცულობა, რომელშიც აირებია მოთავსებული). აირების ნარევის წნევა ტოლია თითოეული აირის პარციალური წნევების ჯამის (დალტონის კანონი). პარციალური წნევებისთვის შეიძლება დავწეროთ:

$$p_1 = \frac{m_1 RT}{M_1 V}, \quad p_2 = \frac{m_2 RT}{M_2 V}$$

სადაც p_1 და p_2 წყალბადისა და ჟანგბადის პარციალური წნევებია, $T=280 \text{ K}$ მათი აბსოლუტური ტემპერატურა ($T=273+t$), $M_1=0,002 \text{ კგ/მოლი}$ - წყალბადის მოლური მასა, $M_2=0,032 \text{ კგ/მოლი}$ - ჟანგბადის მოლური მასა. ამ გამოსახულებების შეკრებით მივიღებთ:

$$p_1 + p_2 = \frac{\left(\frac{m_1}{M_1} + \frac{m_2}{M_2}\right) RT}{V}$$

აქედან გამოვსახოთ V და გავითვალისწინოთ, რომ $p = p_1 + p_2$:

$$V = \frac{\left(\frac{m_1}{M_1} + \frac{m_2}{M_2}\right) RT}{p}$$

მოცულობის ეს გამოსახულება ჩავსვათ სიმკვრივის ფორმულაში:

$$\rho = \frac{(m_1 + m_2)p}{\left(\frac{m_1}{M_1} + \frac{m_2}{M_2}\right) RT} \approx 0,52 \text{ კგ/მ}^3.$$

ამოცანა 57.

ვერტიკალურად მოთავსებულ ჰაერამოტუმბულ ცილინდრში უხახუნოდ მოსრიადლე მძიმე დეღუმის ქვეშე შეიყვანეს წყალბადისა და ჰელიუმის ნარევი, რის შედეგადაც დეღუმმა დაიკავა ცილინდრის შუა მდებარეობა. გარკვეული დროის შემდეგ დეღუმმა ქვემოთ დაიწია, რადგან დეღუმში ჰელიუმის მოლეკულებისთვის გამჭვირვალე აღმოჩნდა. საბოლოოდ დეღუმის წონასწორობა ცილინდრის სიმაღლის $1/3$ -ზე დამყარდა. რას უდრის ნარევი ჰელიუმისა და წყალბადის მასების შეფარდება?

ამოხსნა:

აირების ნარევის შეყვანის მომენტისთვის დეღუმის წონასწორობის პირობა შემდეგნაირად ჩაიწერება:

$p_0 S + Mg = p_1 S$, სადაც p_0 არის ატმოსფერული წნევა, S - დეღუმის ფართობი, M - დეღუმის მასა, p_1 - აირების ნარევის საწყისი წნევა, რომელიც ასე გამოისახება:

$$p_1 = \frac{\mu_1 m_1 + \mu_2 m_2}{V} RT$$

აქ m_1 წყალბადის მასაა, m_2 - ჰელიუმის მასა, $\mu_1=0,002 \text{ კგ/მოლი}$ - წყალბადის მოლური მასა, $\mu_2=0,004 \text{ კგ/მოლი}$ - ჰელიუმის მოლური მასა, V - ცილინდრის მოცულობა, T - აირების აბსოლუტური ტემპერატურა, რომელიც მთელი პროცესის განმავლობაში არ იცვლება. ჰელიუმის დეღუმში დიფუზიის (გაჟონვის) შემდეგ ატმოსფერულ წნევის ძალას და დეღუმის სიმძიმის ძალას აწონასწორებს მხოლოდ დეღუმის ქვეშე დარჩენილი

$$p_2 = \frac{m_1 RT}{\mu_1 V}$$

წყალბადის წნევის ძალა: $p_0 S + Mg = p_2 S$, სადაც

$$\frac{\mu_1 m_1 + \mu_2 m_2}{V} RT = \frac{m_1 RT}{\mu_1 V}$$

ორივე წონასწორობის პირობიდან ჩანს, რომ $p_1 = p_2$, ანუ

$$2 \left(\frac{m_1}{\mu_1} + \frac{m_2}{\mu_2}\right) = 3 \frac{m_1}{\mu_1}$$

საიდანაც $\frac{m_1}{\mu_1} = 2 \frac{m_2}{\mu_2}$. საბოლოოდ $\frac{m_1}{\mu_1} = 2 \frac{m_2}{\mu_2} = 1$

ეს იმას ნიშნავს, რომ ნარევი წყალბადისა და ჰელიუმის მასები ერთმანეთის ტოლია.

ამოცანა 58.

ჭურჭელში მოთავსებულია აზოტისა და წყალბადის ნარევი. T ტემპერატურაზე, როდესაც აზოტი მთლიანად დისოცირებულია ატომებად, წყალბადი კი - არა, ჭურჭელში წნევა p -ს ტოლია. $2T$ ტემპერატურაზე ორივე აირი დისოცირებულია და ამ დროს წნევა ჭურჭელში გახდა $3p$ -ს ტოლი. გავიგოთ ნარევი აზოტისა და წყალბადის ატომების რაოდენობის შეფარდება.

ამოხსნა:

ვთქვათ ნარევიში არის N_1 რაოდენობის აზოტის ატომები და N_2 რაოდენობის წყალბადის ატომები. დავწეროთ იდეალური აირის მდგომარეობის განტოლება ორივე ტემპერატურისთვის: $pV = (v_1 + v_2)RT$, $3pV = (v_1 + 2v_2)2RT$. აქ $v_1 = N_1/N_A$ დისოცირებული აზოტის ნივთიერების რაოდენობაა, N_1 - მისი ატომების რაოდენობა, N_A - ავოგადროს მუდმივა; $v_2 = N_2/N_A$ არის წყალბადის მოლეკულების (არადისოცირებული წყალბადის) ნივთიერების რაოდენობა, N_2 წყალბადის მოლეკულების რაოდენობა. ზემოთ მოყვანილი ორი განტოლების შედარებიდან მივიღებთ:

$$\frac{N_1}{N_A} + \frac{N_2}{N_A} = 2 \cdot \left(\frac{N_1}{N_A} + 2 \frac{N_2}{N_A}\right)$$

საიდანაც $N_1 = N_2$, მაგრამ წყალბადის ატომების რიცხვი $N_3 = 2N_2$, ე.ი. $N_1/N_3 = 1/2$.

საუბრაოი ბიზლიაზა

ათი მსწრაბა



რუბრიკას უძღვება მარია ტაძარიძე

ნაწილი გორა

„გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმიდა ჰყო იგი.“ (გამ. 20:8) - ეს არის უფლის მეოთხე მცნება. წესი, რომლის დაცვასაც უფალი თავის მიმდევარ ხალხს სავალდებულოდ უთვლის. „ექუსთა დღეთა იქმოდე და ჰქმნე ყოველი საქმენი. ხოლო დღე მეშუდე შაბათი არს უფლისა, ღმრთისა შენისა, არა ჰქმნე მას შინა ყოველი საქმე შენ და ძემან შენმან და ასულმან შენმან და მონამან შენმან და მკველმან შენმან და ყოველმან საცხოვარმან შენმან და მწირმან, რომელი მკვდრ არს შენ შორის“ (გამ. 20:9-10).

უფლის მეოთხე მცნებას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. მეშვიდე დღესთან დაკავშირებით უფლის სახელის სხელება ჯერ კიდევ დაბადების ნიგნში გვხვდება: „აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდაჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა ღმერთმა ყოველი საქმენი, რასაც ქმნიდა ღმერთი და აკეთებდა“ (დაბ. 2:3). თითოეული კვირის მეშვიდე დღე სრულქმნილი სამყაროს ექვს დღეში შექმნის შემდეგ მეშვიდე, საუფლო დღეს შეესაბამება, „რადგან ექვს დღეში შექმნა უფალმა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც მასშია, და მეშვიდე დღეს შეისვენა; ამიტომაც აკურთხა უფალმა შაბათი დღე და წმიდაჰყო იგი“ (გამ. 20:11). და აი, ახლა, სინაის მთაზე, უფლის მცნება საბოლოო გამოჰყოფს ამ დღეს, წმინდად აცხადებს მას, რათა საუფლო დღე უფლის სხელებითა და მადლიერებით აღსავსე იყოს. უფალი გვასწავლის: „...შაბათი კაცისათვის შეიქმნა, და არა კაცი შაბათისათვის“ (მარკ. 2:27). ეს დღე ადამიანმა, საკუთარი პიროვნების სულიერო სრულყოფისათვის, ღმერთის, სინანულში, უფლის სახელის დიდებამი უნდა გაატაროს.

შაბათის უქმობის მეორე მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისრაელიანს უნდა ახსოვდეს ეგვიპტიდან, ანუ მონობის ქვეყნიდან გა-

მოსვლის დღე. „გახსოვდეს, რომ ყმა იყავი შენც ეგვიპტის ქვეყანაში და გამოგიყვანა იქიდან უფალმა, შენმა ღმერთმა მაგარი ხელით და შემართული მკლავით. ამიტომ გიბრძანა უფალმა, შენმა ღმერთმა, შაბათი დღის შენახვა“ (რჯლ. 5:15). ეს სიტყვები არ წერია უფლის მცნებაში, ისინი მოსეს მიერ, მცნებების განმარტებისას იყო ნათქვამი. საუკუნეების მანძილზე ებრაელები წმინდად ინახავდნენ შაბათი დღის წესს. საგულისხმოა, რომ იუდეისტთა მოძღვრების თანახმად, სამყაროში არსებობს სამი სინამდვილე, ესენია: შაბათის, ისრაელის და საკურთხევის სინამდვილე. მათაგან შაბათი უპირატესია.

ქრისტიანულადგომის შემდეგ ქრისტიანებისთვის შაბათი კვირამ ჩაანაცვლა, რადგან კვირა იესო ქრისტეს აღდგომისა და კაცობრიობის ხსნის დღეა. დღესასწაული ყოველთვის წინა საღამოდან იწყება. წირვისას იკითხება და იგალობება სპეციალური ლოცვები, რომლებიც დიდ ძალას მატებს ტაძარში რწმენითა და სიყვარულით მოსულთ.

მცნება მეხუთე: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი იქმნეს შენდა და რათა გრძელ ჟამ იყო ქუეყანასა ზედა კეთილისასა, რომელი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ“ (გამ. 20:12).

ეს მეტად მნიშვნელოვანი მცნება, მშობლების პატივისცემის, მათი სიყვარულისა და დაფასების მოწოდებაა. წმიდა წერილი გვასწავლის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედ-მამის დამსახურებულ დალოცვას. ოჯახი სახელმწიფოს მინიატურული იმპერიაა, ხოლო თავად მშობელი ოჯახში უფლის წარმომადგენელია. შემთხვევითი არ არის, რომ დედ-მამის შეურაცხყოფისათვის სასჯელია დაწესებული: „ვინც ხელს შემოჰკრავს თავის მამას და დედას, სიკვდილით უნდა დასაჯოს“ (გამ. 21:15). და აგრეთვე - „ვინც დასწყევლის თავის მამას და დედას, სიკვდილით უნდა დასაჯოს“ (გამ. 21:17). ბიბლიის თანახმად, მშობლების ურჩი შვილი კარგავს მათ კურთხევას.

ხშირად, მშობლები სწუხან შვილების უდიერი საქციელის გამო, თუმცა, უმეტეს ნილადა, თვითონ არიან დამანაშავენი, რადგან ქრისტიანული რწმენითა და სიყვარულით არ აღზარდეს ისინი.

„არა კაც-ჰკლა“ (გამ.20:13) - მეექვსე მცნება.

მკვლელობა საშინელი დანაშაულია. სხვისი სიცოცხლის ხელმოფი არა მარტო ადამიანის, არამედ

ღვთის წინაშე სცოდავს, რადგან, ღვთის მიერ მონიჭებული სიცოცხლის მოსპობის უფლება არავის აქვს. პირველი მკვლეელი, კაენი, რომელმაც თავისი ძმის, აბელის სისხლი დაღვარა, დედამიწაზე სიმკვრივეს ვერ პოულობდა. ამიტომაც მუდმივად მყუდრო ადგილის ძიებაში იყო და საბოლოოდ საკუთარი შთამომავლის ხელით იქნა მოკლული; ხოლო ამ ცოდვის გამო სასჯელი მთელ მის მოდგმაზე გადავიდა. ძველი აღქმის აპოქრიფებში კაენის ცოდვის შესახებ საგულისხმოა ენოქის მონათხრობი. ანგელოზებმა ენოქი სულთა სამფლობელოში წარტაცეს - „ვიხილე ადამიანთა სულელები, ვინც მოკვდა და მათი ნუხილი ცას სწვდებოდა. ამჯერად ვკითხე ანგელოზ რაფაილს, რომელიც მახლდა - ვისი სულია ასე სასწრაფოვით რომ მოსთქვამს? და მან მიპასუხა: - ეს ძმისგან მოკლული აბელის სულია, ის წუხს კაენის გამო მანამ, სანამ მისი მოდგმა არ აღიკვეთა პირისაგან მიწისა“. „ბორტებას ბოროტებით ვერ განკურნავ, - გვასწავლის წმინდა ბასილი დიდი, - მას მხოლოდ სიკეთით შეიძლება უნაშალო“. მიუხედავად ამისა, ადამიანი დღემდე მრავალ შეცდომას უშვებს, ამიტომ ბოროტიც არ კარგავს იმედს.

საშინელი ცოდვაა თვითმკვლელობა. იგი ღვთის ნების წინააღმდეგ მიმართული პროტესტია და სულიწმინდის გამოხად ითვლება. თვითმკვლელობა, თუ ფსიქურად დაავადებული არ არის, საბოლოოდ წარინკმედს სულს. გარდა ფიზიკური მკვლელობისა, არის სხვა სახის მკვლელობა: ადამიანის გულისა და სულის მოკვლა მუერაცხვით, ცრუმონუმებით, დასმენით, ცილისწამებითაც არის შესაძლებელი. წმიდა იოანე ღვთისმეტყველი წერს: „ყოველსა, რომელიც სძულდეს ძმად თვისი, იგი კაცისმკვლეელი არს და იცით, რამეთუ ყოველსა კაცის-მკვლელსა არა აქვს ცხოვრებაი საუკუნო“ (1 იოან. 3:15).

მცნება მეშვიდე - „არა იმრუშო“ (გამ.20:14), ეს მცნება კრძალავს ადამიანებს შორის არაპაწიანოვან სექსუალურ ურთიერთობას. სიძვა, მრუშობა, სისხლის აღრევა, გარყვნილება, ცოლ-ქმრული ცხოვრების დამახინჯებული სახეები... - ამ ცოდვის სხვადასხვა გამოვლინებებია. „სიძვა და ყოველი არანაშენებელია... ნუცალა სახელ-იდებიან თქვენ შორის“ (ეფეს. 5:3) - გვაფრთხილებს მოციქული პავლე. არანაშენებელია, სურვილები, უზნეობა, უხამსი საუბარი ის საცდურია, რომელიც ყოველ ჩვენგანს მალუ-

ლად თან სდევს და ხელსაყრელი სისუსტის მოლოდინში სულგანაბული ელოდება აღზევებას. ცდილობს ადამიანში მოიკალათოს, დაეუფლოს მას და საბოლოოდ განადგუროს იგი. ღმერთი კი, ყოველი ცალკეული ადამიანის გადარჩენისათვის ზრუნავს. უფალი მზადაა ადამიანის არსიდან ცოდვის გამოდევნის შედეგად გაჩენილი სივრცე, თავისი მადლით ჩაანაცვლოს. უფალი ბრძანებს: „ჯოჯოხეთის ხელიდან გამოვისყიდი მათ, სიკვდილისგან ვიხსნი“ (ოს. 13:14).

მეჩვი მცნება - „არა იპარო“ (გამ. 20:15). პარვა ფართო მცნებაა და მოტაცებას, მითვისებას, უჩემრად, უკითხვად, მალულად აღებას ნიშნავს. ამას გარდა, აქ მკრეხელობა, მექრთამეობა, მევახშეობა, მუქთახრობაც იგულისხმება.

ზოგჯერ, ქურდობისა და დანაშაულის გამართლების მიზნით, სახარებიდან იმ ავაზაკის მაგალითს იშველიებენ, რომელიც მაცხოვართან ერთად ჯვარს აცვეს, და რომელიც მასთან ერთად სამოთხეში მოხვდა. ავაზაკი შეწყნარებულ იქნა, რადგან სიკვდილის წინ მთელი არსებით იგრძნო განვლილი ცხოვრების სიმძიმე, ჯვარზე გაკრული მიუბრუნდა მაცხოვარს და უთხრა: „ჩვენ სამართლად ღირსი, რომელიც ვქმენით, მოგვეგებოს“. ძლიერი, გულწრფელი სინანულით, მისი ცოდვით დამძიმებული გული განწმინდა და მან შეიგრძნო ის, რასაც სხეული ვერ ხვდებოდა; იგრძნო, რომ მის გვერდით ღმერთი ენამებოდა; ამიტომაც სთხოვა: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფთავითა შენითა“ (ლუკ. 23:41-42). და მიუგო იესომ: „ამინ გეტყვი შენ: დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა“ (ლუკ. 23:43). ეს მაგალითი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ყველა ცოდვიდან შეიძლება განთავისუფლება და განწმენდა; ღვთის მოწყალებას არა აქვს საზღვარი...

მეცხრე მცნება - „არა ცილი სწამო მოყუასა შენსა ზედა ნამებითა ცრუათა“ (გამ. 20:16). ეს მცნება ადამიანისაგან სიმართლის გზით სვლას მოითხოვს. მიძვე ცოდვად ითვლება: ცრუმონუმობა, ცილისწამება, დაბუღება, მოწმის განკითხვა. ღირსი მამა ანტონი დიდი წერს: „ურჩხულის ენა ნაკლებ საშიშია, ვიდრე ენა ცილისწამებისა, რადგან ასეთი კაცი ჩხუბსა და განხეთქილებას აგდებს მშვიდობით მცხროვრებ ადამიანთა შორის, სთესავს ბოროტებას და ღვარძლს ახლობლებში, არღვევს ერთობას. ვინც ასეთ ადამიანს სახლის კარებს გაუღებს, თვითონაც ცოდვის მორევში

ჩავარდება. ასეთ კაცთან ურთიერთობა მკვლელთან ურთიერთობას ნიშნავს“. ცილისწამებლის ენა მსგავსია გველის შხამისა. უმჯობესიც კია გველის ვიდრე მორიელის გვერდით ცხოვრება, ვიდრე ცილისწამებელთან ახლოს ყოფნა, რადგან იგი თავისი სენით სხვასაც აავადებს. ღმერთი მოწყალეა, მაგრამ ცილისწამების ცოდვა ძნელად შენდობა კაცს. ამიტომაც, „ნუ შეგრცხვებათ ასეთი ადამიანებისაგან განზე განდგომისა, თორემ მათი შხამით თქვენც დაავადდებით“.

მეათე მცნება - „არა გული-გითქუმიდეს ცოლსა მოყუსისა შენისასა, არცა ავარაკსა მისსა, არცა მონასა მისსა, არცა მწველსა მისსა, არცა ჯარსა მისსა, არცა კაპრავლსა მისსა, არცა ყოველსა საცხოვრსა მისსა, არცა რაოდენი-რაა არს მოყუსისა შენისა“ (გამ.20:17). ეს მცნება მოითხოვს, კმაყოფილი ვიყო ჩვენი ხვედრით, ჩვენი მდგომარეობით, რათა ხელი არ დაგვიროს სულის ფირთა - შურმა. შური, პირველ ყოვლისა, ზიანს აყენებს მას, ვინც ამ სენითა შეპყრობილი. სხვა ცოდვა უფრო უხეშია და სულშიც ისე არ ღვივდება, როგორც შური, - წერს წმიდა ბასილი დიდი, - შური კი ისე სჭამს კაცის სამშინველს, როგორც ჟანგი რკინას... „შური არის წუხილი სხვის სიკეთესა ზედა“.

წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი გვაფრთხილებს: შური ნყლულია სულისა და სანამლაზე მისი. იგია ერთ-ერთი ყველაზე უსამართლო და ამავე დროს, სამართლიანი ვნება. უსამართლო იმიტომ, რომ კეთილთა სიმშვიდეს არღვევს, სამართლიანი კი იმიტომ, რომ შინაგანად ახშობს მას, ვის სულშიც ზუღობს.

ეს არის ათი მცნება, რომლის საფუძველზეც ღმერთთან და ადამიანთან ურთიერთობაა აგებული. ეს მცნებები გრგვინვასა და ელჭეპში გამოეცხადა ისრაელიანთ. როგორც ძველი აღქმა გვამცნობს, ხალხმა თავად, თავისი ყურით, უშუალოდ უფლისგან მოისმინა ყოველივე; მაგრამ მას აღარ შეეძლო შემადრწუნებელი ხილვის გაძღება და შეჰღადადა მოსეს: „...შენ გველაპარაკე და მოგისმენთ; ოღონდ ღმერთი ნუ დაგველაპარაკება, თორემ დავიხოცებით“ (გამ. 20:19).

და გაივლო ამიერიდან ზღვარი მოსესა და ხალხს შორის... „მომორებით იგვა ხალხი, ხოლო მოსე მიადაგა ნისლს, სადაც ღმერთი იყო“ (გამ. 20:21). თავად ნისლი კი, თავისი სიმბოლური მნიშვნელობით, ნიშნავს ხალხისათვის იმ სივრცის მიუწვდომლობის, სადაც უფალია. ნისლს მიღმა მხოლოდ მოსეს შეეძლო დგომა.

ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და იმერეთის გუბერნატორი ლაშა მაქაცარია ქუთაისში პროფესიულ კოლეჯ „იბერიას“ ეწვივნენ. 7 მაისიდან ამ კოლეჯში ახალი პროექტის ფარგლებში დაფინანსებული 360 სტუდენტი დაეუფლება დურგლის, ზეინკალ-სანტექნიკოსის, ელექტრიკოსის, ძრავის შემკეთების, მკერავის, სასტუმრო საქმის მწარმოებლის, ინფორმაციული ტექნოლოგიის, გრაფიკოსის, მზარეულის, მღებავის, მეფილე-მომპირკეთებლის, სარესტორნო საქმის მწარმოებლის, შემდუღებლისა და სხვა პროფესიებს.

დიმიტრი შაშკინმა, კოლეჯის სტუდენტებთან ერთად, სასწავლო სახელოსნოები დაათვალიერა. მინისტრმა, სიმბოლურად, თავადაც შეასრულა ის სამუშაო, რასაც მომავალი დურგლები და ზეინკლები შეასრულებენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი დავით გურამიშვილის გზატკეცილზე ახალი პროფესიული კოლეჯის მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნო.

ახალი კოლეჯის მშენებლობა გასული წლის დეკემბერში დაიწყო და 2012 წლის სექტემბრისთვის დასრულდება. „მერმისი“ მსურველებს პროფესიული სავანანათლებლო პროგრამების პირველ 3 საფეხურს შესთავაზებს. კოლეჯი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვება. კეთილმოწყობა კოლეჯის ეზო და აშენდება სახელოსნოები. კოლეჯი კვალიფიციური კადრე-

ბით დაკომპლექტდება, რომელთა შერჩევაც კონკურსის წესით ინარმოებს.

პროფესიული კოლეჯი შრომის ბაზრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და მსურველებს მომსახურების, ტურიზმისა და მშენებლობის სფეროებში არსებულ სპეციალიზებს შესთავაზებს. კოლეჯი სახელმწიფოს მიერ პროორიტიზებულია აღიარებულ შემდეგ პროგრამებს განახორციელებს: სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი; კალატოზი; მეფილე-მომპირკეთებელი; მეხატაქმე; ელექტრიკოსი; მღებავი; დურგალი; სავალი ნაწილის ტექნიკოსი; ძრავის შემკეთებელი; სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი; სამაცივრო მონუმბოლოების ტექნიკოსი; თქვის ხელოსანი; შემდუღებელი; მეავეჯე; მზარეული.

მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადება სახელმწიფო პროორიტეტს წარმოადგენს, შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განათლების განვითარების კუთხით, მნიშვნელოვან რეფორმებს ატარებს. სამინისტრო ზრუნავს როგორც კოლეჯების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციაზე, ასევე იმაზე, რომ პროფესიული სავანანათლებლო დაწესებულებების მიერ მომზადებული კადრები შრომის ბაზრის მოთხოვნებს პასუხობდნენ.

Microsoft-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების კონკურსში Imagine Cup გამარჯვებულები გამოვლინდნენ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, USAID-ის მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში სტი-

ვენ ჰაიკინმა და „მაიქროსოფტ საქართველოს“ გენერალურმა მენეჯერმა დავით ასათიანმა გამარჯვებული გუნდები დააჯილდოვეს. პირველ ადგილზე გასული გუნდი Greenbytes, 2012 წლის 6-10 ივლისს, ავსტრალიაში მსოფლიო ფინალზე გაემგზავრება, სადაც, წარმატების შემთხვევაში, პრიზის სახით, 25 000 დოლარი მიიღებს. საპრიზო ადგილზე გასულმა გუნდებმა ფასიანი პრიზები კომპანია „ალგორითმისგანაც“ მიიღეს.

პროექტი საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა დარგების, მათ შორის საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო დარგის, კონკურენტუნარიანობის ზრდას ემსახურება. კონკურსში Imagine Cup საქართველოში წელს პირველად მიიღო მონაწილეობა. კონკურსის თემა იყო სამყარო, სადაც ტექნოლოგია მსოფლიოს აქტუალური პრობლემების მოგვარების პროცესშია ჩართული. გამარჯვებული გუნდის მიერ წარმოდგენილი პროექტი ქალაქის დასუფთავების პროცესის გაუმჯობესებას ეხებოდა.

Imagine Cup-ში მონაწილეობა 16 წლის ზემოთ ნებისმიერ სტუდენტს ან მოსწავლეს შეეძლო. რეგიონული ფინალი 28 აპრილს გაიმართა და მასში 10 საუკეთესო გუნდი მონაწილეობდა. კონკურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა, ორგანიზატორები - „მაიქროსოფტ საქართველო“ და სამინისტროს „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა“. მხარდაჭერებს შორისაა, ასევე, „სინგულარ ჯგუფი“, „ალგორითმი“ და USAID-ის პროექტი - ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა, რომელიც გამარჯვებული გუნდის ავსტრალიაში გამგზავრებას უზრუნველყოფს.

ბზა საქართველოდან ამერიკაში

როგორც ვიცით, აშშ ემიგრანტთა თავშესაფარია, რომელ-მაც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შეიკვლია მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ქართველები. მათი სახე-ლები ჩვენთვის გმირობის სიმბოლოა. დღეს გვინდა გავაც-ნოთ კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე - პეტრე ხვედელიძე (www.emigrantebi.weebly.com).

დაიბადა 1918 წლის 25 იანვარს, თბილისში, ოჯახში, სადაც 5 ბავშვი იზრდებოდა: მიხეილი, თევდორე, კონსტანტინე, ქე-თევანი და პეტრე. დედა ღვთისმოსავი ქალი ყოფილა, სწო-რედ მან შეურჩია შვილებს წმინდანების სახელები. მამა რკი-ნიგზის მუშა იყო, არაპროფესიონალი, მაგრამ ძალიან კარგი მოჭიდავე.

ბატონი პეტრე ხშირად იხსენებს შიმშილის და გაჭირვების პერიოდს, თუ როგორ აბარებდა დედა თავისი მზითვის ოქ-რო-ვერცხლს. გაჭირვების მიუხედავად, დედა ყოველ წელს ყიდულობდა აბონემენტს მოზარდ მსახურებელთა თეატრის სპექტაკლებზე, რადგან ოჯახში ხელოვნება ყველას უყვარ-და. ამ სიყვარულით, ზაფხულობით, პატარა პეტრე ხშირად დადიოდა, უფრო სწორად იპარებოდა, მუშაიდის ბაღში, რადგან ბილეთის ფული არ ჰქონდა. სწორედ აქ ეზიარა პეტ-რე ამირანაშვილის, ნიკო ქუმსიაშვილის და ემანუელ აფხაი-ძის ხელოვნებას.

1937 წელს დააპატიმრეს მისი უფროსი ძმა, რომელიც სამ-ხედრო იყო. ამის გამო ვერ გააძევეს სწავლა თბილისში და გაემგზავრა სტალინგრადში, სადაც მისი მეორე ძმა ინჟინ-რად მუშაობდა. ოჯახის წევრებმა ჯარში განვევის უწყება, 1939 წელს, მოსკოვში გაუგზავნეს, სადაც პეტრე სწავლის გაგრძელების მიზნით წავიდა და მხოლოდ სამი თვე დარჩა. ამავე წელს ჩამოდიხ თბილისში და 6 ნოემბერს მიდის არმია-ში. იგი ჩაირიცხა პოლკის ასეულის სკოლაში. სამამულო ომი რომ დაიწყო, 1941 წლის ივნისში, მისი სამხედრო ნაწილი ბე-სარაბიაში იდგა. სამი კვირა მიდიოდნენ აღმოსავლეთისკენ, როგორც სამხედრო აღმოსავლეთისკენ. გერმანელებმა ბევ-რი ნივთიარმთილი ჩაიგდეს ხელში. დიდი მცდელობის მიუხე-დავად, მისი ნაწილიც დიდ ალყაში მოექცა. ბატონი პეტრე წერს: „რამდენიმე მეგობართან ერთად ალყა გავარღვიე და ბატალიონის უფროსი ვიპოვე, რომელიც ჩემი უფროსი ძმის - მიხეილის ყოფილი ხელქვეითი აღმოჩნდა. გამიხარდა მისი დანახვა. ვთხოვე, თქვენთან დავრჩები-მეთქი, მაგრამ უარი მიიხარა - ბრძანებაა, იქ უნდა დაბრუნდე, სადაც იყავი“. ამ „დაბრუნებისას“ პეტრე ხვედელიძე ტყვედ ჩავარდა, ომში ნა-ნახმა ბევრ რამეზე აუხილა თვალს.

ტყვეობაში შეხვდა თავის ძმას - კონსტანტინეს. იგი იხსე-

ნებს: „თვითონ რომ არ დაეძახა, ვერც ვიცნობდი“. იმდენად დრამატული იყო მათი შეხვედრა, რომ გერმანელებიც კი ტი-როდნენ. ბატონ პეტრეს კაპიტანისთვის უთხოვია, ჩვენი დიდი ოჯახიდან ეს მაინც გადაარჩინე, მე რაც გინდათ, ის მიქენი-თო. კონსტანტინეს ზეინკლობა სცოდნია, ამიტომ იგი ბრან-დერბურგში გაგზავნეს სამუშაოდ.

გერმანელები დარწმუნდნენ, რომ დამარცხება გარდაუვა-ლი იყო, ამიტომ ე.წ. „კავკასიური ნაწილების“ მოშორება გა-დანწყვიტეს. 1944 წელს პეტრე ხვედელიძე ჩაბარდა. მისი დი-ვიზიის მეთაურს, პოლკოვნიკ მახცს საშინლად სძულდა პიტ-ლერი, ახლო ურთიერთობა ჰქონდა პოლკოვნიკ ვლადიმერ შარაბიძესთან, რომელიც მისი უფროსი ძმის თანაკლასელი იყო. მახცმა ფარული მოლაპარაკება გამართა დე გოლისტე-თან, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართველები და გერ-მანელები დე გოლის ჯარის ნაწილებისთვის მიეერთებინათ. ამით ის, ქართველებთან ერთად, გერმანელების გადარჩენა-საც ცდილობდა, მაგრამ ქართველთა ერთ ნაწილს ილუზია შეექმნა, რომ თუ ფრანგ პარტიზანებს შეუერთდებოდნენ, სტალინის რისხვას თავს დააღწევდნენ. ყოველივე ამან ქარ-თველთა შორის ვითარება უკიდურესად დაძაბა. პოლკოვნიკმა მახცმა შარაბიძეს ურჩია, ქართველები განეიარაღებინა, რადგან შეიძლება კომუნისტები და ანტიკომუნისტები ერ-თმანეთს დარეოდნენ. განიარაღება უმტკივნეულოდ მოხდა. ვლადიმერ შარაბიძემ გახსნა სახელოსნოები, სადაც ქართვე-ლებისთვის ჩოხა-ახალუხები იკერებოდა, მზადდებოდა ხანჯ-ლები, იმართებოდა საინტერესო საღამოები და ლექციები, იკითხებოდა საქართველოს ისტორია. ერთ დღეს, ქართველე-ბი მორიგი ლექციის მოსასმენად რომ წავიდნენ, გერმანელებ-მა მათი იარაღი ფრანგებს გადასცეს, ამით უდიდესი სამიშ-როება აიცილეს თავიდან. მახცმა შარაბიძეს უთხრა: „ვისაც სურს, დაბრუნდეს რუსეთთან, ვისაც არა, თქვენი დევნილი მთავრობა პარიზშია და ვალდებულია, დაგეხმაროს“.

ომის დამთავრებიდან რამდენიმე კვირაში საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის პირველი ცხენოსანი პოლკი ყაზარმა-ში დაბრუნდა. ამ პერიოდისთვის, ბატონ პეტრეს მანქანის მართვა უკვე კარგად ჰქონდა ათვისებული. კავალერიის მაი-ორმა ვანო ვაჩნაძემ პირად მძღოლად აიყვანა. ბატონ ვანოს-თან თორმეტი წელი ჰქონდა სამხედრო სამსახურში გატარე-ბული. იგი მეფისდროინდელი ოფიცერი იყო, მონაწილეობდა ტაბახმელასთან ბრძოლაში და ცხადია, შემდეგ ემიგრაციაში აღმოჩნდა, რასაც საფრანგეთის კავალერია და მაიორის ნო-დებმა მოჰყვა. ბატონ პეტრეს ამ ჩინებულ ქართველზე ლაპა-რები უჭირდა. მას გენერლიდან დაწყებული ჯარისკაცით დაკითხვებული ყველა პატივს სცემდა. ბედნიერი იყო, ასეთ ადამიანთან რომ მსახურობდა და მეგობრობდა.

ამავე პერიოდში, ბატონი პეტრე მეგობრობდა ლევან ზუ-რაბიშვილთან, რომელიც ლევილის სასაფლაოზე დასაფლა-ვებული. ლევილი პარიზიდან 30 კილომეტრში მდებარეობს, სხვა ახლომდებარე სოფლებისგან არაფრით განსხვავდება, მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისთვის მეტად ძვირფასია, ვი-ნაიდან საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები სწორედ ამ სოფლის სახელთანაა დაკავშირებული. ქართველ-მა ემიგრანტებმა ლევილში ააშენეს მართლმადიდებლური ქართული ეკლესია, სადაც დღემდე, შაბათ-კვირას, ქართვე-ლები იკრიბებიან. მამულში, ასევე, გაჩნდა ქართული სასაფ-ლაო, სადაც მრავალი ქართველი მამულიშვილის „ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე“...

ლევან ზურაბიშვილის გარდაცვალებიდან 35-ე გაზაფხუ-ლი მიილია. უამრავი რამ შეიცვალა, მაგრამ ლევილის მამულ-ში დღესაც ნაღვლიანად ფრიალებს საქართველოს დროშა.

1956 წელს, პეტრე ხვედელიძემ, 38 წლის ასაკში, საფრან-გეთის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. დაიწყო მისი მე-



ორე ემიგრაცია, ამჯერად აშშ-ში. ამ გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებს, რომ აშშ-ს უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა დახმარებოდა მის სამშობლოს, ვიდრე საფრანგეთს ან ევრო-პის რომელიმე სხვა ქვეყანას. ამასთანავე, ვარაუდობდა, რომ თავისი შესაძლებლობების რეალიზებას იქ უკეთ მოახერხებ-და, რა თქმა უნდა, ისევე საქართველოს საკეთილდღეოდ, რა-შიც ნამდვილად გაუმართლა.

გამგზავრებიდან 10 წლის განმავლობაში, ცხოვრობდა ნიუ-იორკში, დაამთავრა ამერიკის რადიოკორპორაციის ტექ-ნიკური სასწავლებელი. 11 წელი და 6 თვე იმსახურა, როგორც ტექნიკოსმა. მუშაობის პარალელურად, დამატებითი განათ-ლების მისაღებად, საღამოს სხვადასხვა სკოლაში სწავლობ-და, ორი წელი კი - Queens College-ში.

1958 წელს აირჩიეს აშშ-ში ქართული სათვისტომოს გამგე-ობის წევრად, შემდეგ - მდივნად.

1963 წელს ამერიკის მოქალაქეობა მიიღო.

სამწუხაროდ, რამდენიმე წლის შემდეგ, შტატებში ეკონო-მიკური კრიზისის გამო, სპეციალობით სამუშაო დაკარგა, ქართული სათვისტომოს მდივნობის ვადაც ამოუწურა, უმუ-შევარი დარჩა. ასეთ ვითარებაში მყოფმა, მეგობრების რჩე-ვით, „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტის ვაკანსიაზე შეიტანა განაცხადი და გაუმართლა. რადიოსადგურზე სამუშაოდ რომ მივიდა, 49 წლის გახლდათ. მისი გადაცემის ერთადერთი დე-ვიზი იყო - სიმართლე და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენე-ბის ობიექტური ანალიზი.

„ამერიკის ხმის“ ბატონი პეტრე 1985 წლის ივნისამდე მუ-შაობდა, მიღებული აქვს სიგელები და მადლობები.

აშშ-ში ანზორ კავსაძის ბრწყინვალე გასტროლების დროს, 1974 წელს, ბატონმა პეტრემ კონცერტის 50 ბილეთი იყიდა და „ამერიკის ხმის“ თანამშრომლები დაპატიჟა, რათა ეჩვენე-ბინა განსხვავება ქართულ და რუსულ სიმღერას შორის. იმე-დი არ გაცრუებია, კონცერტმა აწმლივით ჩაიარა. სწორედ ამ გასტროლის დროს ჩანერეს ანზორ კავსაძის უზაღლოდ შეს-რულებული „ჩაკრულო“ და, მსოფლიოს სხვა მუსიკალურ შე-დეგებთან ერთად, კოსმოსში გაუშვეს. ბატონი პეტრე უბედნიერესი გახლდათ იმით, რომ საზოგადოებას პირველმა სწორედ მან მიანოდა ეს ინფორმაცია „ამერიკის ხმით“. დღემდე მადლობელია იმ მუსიკოსის, რომელმაც უცხოეთში გადახვეწილს არნახული ბედნიერება და სიამაყე განაცდევინ-ა.


პეტრე ხვედელიძე - იგივე პედრო ამარი (ასე მიმართავდ-ნენ ფრანგები); 1967-85 წლებში „ამერიკის ხმის“ ქართული განყოფილების ერთ-ერთი წევრი ნამყვანი - კიკა ჭალე-ლი. ბატონი პეტრეს მეტსახელი გახლდათ „ბურო“. ერთხელ ამ სახელმა უხერხულ მდგომარეობაშიც კი ჩააგდო:

საფრანგეთში, ქალაქ კასტრში პოლკოვნიკ შარაბიძის ადიუტანტი იყო, რომელიც ქალაქის მთავარი ქუჩის სასტუმ-როში ცხოვრობდა. სანამ სასტუმრომდე მივიდოდა, გაზად ერ-თი ხუჭუჭთმიანი გოგო ყოველთვის უცინოდა და ესალმებო-და, პეტრეც დამტვრეული ფრანგულით ესაუბრებოდა, ასე დაახლოვდნენ. ერთ დღეს, გოგონა მეგობრებთან ერთად იყო. დაახლოებით ნახევარი საათი ხელებითა და მწირი ფრანგუ-ლით ესაუბრებოდა. ამ დროს ქართველი ლეგიონერები გა-მოჩნდნენ. დაინახეს თუ არა, შემოსძახეს: - ვა, ბურო ეს რა კარგი გოგოაო... ფრაზა დამთავრებული არ ჰქონდათ, რომ გოგოები გაიქცნენ. ვერ მიხვდა, რა ეწყინათ. გადაწყვიტა, ვი-თარებაში გარკვეულიყო და რადგანაც იცოდა, სად ცხოვ-რობდა გოგონა, იქითკენ გასწია. მიუახლოვდა თუ არა მის საცხოვრებელს, იგრძნო, რომ ზემოდან რაღაც მოდიოდა და უცებ გვერდზე გახტა. აღმოჩნდა, რომ მისმა „ლაშაზმანმა“ მდულარე წყალი გადმოასხა. საბედნიეროდ, არაფერი დაშა-ვევია. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გაარკვია, რომ „ბუ-რო“ ფრანგულად ჯალათს ნიშნავდა.

ბატონი პეტრეს პირველი კონტაქტი ძმისშვილთან 1991 წელს შედგა, რამაც კიდევ უფრო გაუმძაფრა ახლობლების ნახვის სურვილი.

თბილისში ყოფნისას, საპატიო სტუმრად იყო მიწვეული ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც საინ-ფორმაციო-საგანმანათლებლო ასოციაციის „კვალი“ პრეზი-დენტის, ბატონი შოთა ვაშაკიძის თაოსნობით ტარდებოდა პირველი ფორუმი, რომელშიც ემიგრაციაში მყოფი ქართვე-ლი მეცნიერები, ექიმები და სხვადასხვა დარგის წარმომად-გენლები მონაწილეობდნენ.

93 წლის უხუცესი ქართველი ემიგრანტი ამჟამად ვაშინგ-ტონში ცხოვრობს, წერს მემუარებს.



თემის ავტორები:
თინათინ ფოცხაძე,
სალომე პარსანიძე, ანი ხოსიაშვილი
ხელმძღვანელი - ნანა გურუაძე
კერძო სკოლა-ლიცეუმი „მნივობართუხუცესი“

დედაენის დღე

„თუ „დედაენით“ არ ხარ გაზრდილი“

თბილისის სამასი არაგველის სახელობის 75-ე საჯარო სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობა საქმიანი სასწავლო განწყობილება. ნათელი, თბილი, სუფთა, კეთილმოწყობილი დარბაზი და დერეფნები ესთეტიკურ გარემოს ქმნის. ერთი წელია, სკოლას დიდი წარმატებით, უნარიანად და შემართებით უძღვება სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ოლიგო ქიტეშვილი**. მისი მდიდარი გამოცდილება, როგორც მართვის, ასევე სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში, მეტად ნაყოფიერია. ეროვნული სასწავლო გეგმის შემოქმედებითად განხორციელებისათვის იღვნიან სასწავლო ნაწილის გამგე **იზა ზარანდია**, კოლექტივის ყველა პედაგოგი, განსაკუთრებით, დაწყებითი კლასის მასწავლებლები.

სწორედ ამის დასტური იყო 26 აპრილი, „დედაენის დღისადმი“ მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია: „თუ „დედაენით“ არ ხარ გაზრდილი“, რომელიც ჩაატარა მესამე კლასის მასწავლებელმა **მარინა ჯვალაძემ**. ამ ღონისძიებაში უკლებლივ ჩართული იყო ყველა მოსწავლე. აღსაზრდელებმა დაამტკიცეს, თუ რამდენი რამ იციან დედაენისა და იაკობის შესახებ. ეს მათი პედაგოგის დამსახურებაა. ამ დღეს ვიხილეთ ის დიდი შრომა-გარჯა, რასაც ეწევა ქალბატონი მარინა ჯვალაძე. ეს საინტერესო და ლამაზი დღე შედეგია მისი ყოველდღიური, თანმიმდევრული მუშაობისა.



სულგანაბულ დარბაზს მოეფინა აღსაზრდელების – **ნატო ჩიხელიძისა** და **ანი ჯიქიას** წვრთნა, საამო ხმები. „...დედაენა ჩვენი განძია, მადლიანი ანბანია, მასში საქართველოს სიყვარულია ჩაქსოვილი...“, „...სამი ღვთაებრივი საუნჯე დავგრჩა ჩვენ მამა-პაპისგან: მამული, ენა, სარწმუნოება...“ – მთელი გრძობით წარმოთქვა ანა-მარია გასანოვმა. „...დედაენა ერთია, დედაენა

ღმერთია“ – გადასწვდა დარბაზს ჯალილ გასანოვის ხმა. „...საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ, სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენა“ – დარბაზი დაატკბო საბინა მისაევის მიერ საამოდ წაკითხულმა ლექსმა. მოსწავლეებმა დარბაზს გააცნეს გამონათქვამები, სამაგალითო და გამორული წარსული ქართულ ენაზე. ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს და გულიდან ამოსულ სტრი-

ქონებს ახმანებდნენ დედა ენაზე: **ელენე გურგენიძე, მარი ფოცხიშვილი, თემურ ელიზბარაშვილი, კარინა რასოიანი, სოფო ნემოვი. მარი ჩხაიძემ** ამ დღისათვის შექმნა „სლაიდ შოუ“ დედაენაზე, რომელმაც დიდი მონონება დაიმსახურა. კლასში ოთხი მოსწავლე ეროვნებით აზერბაიჯანელია, ერთი – ქურთი. ეს მოსწავლეები ქართულ სკოლაში მშობლებმა იმიტომ შემოიყვანეს,

რომ გამართულად იმეცყველონ ქართულ ენაზე, იცოდნენ ჩვენი სამშობლოს წარსული და მეგობრებად ჰყავდეთ ქართველები. ასეთი ღონისძიებები მათთვის განსაკუთრებით ბევრის მიმცემია...

„გულახდილი ვიქნები, ამ ბავშვებთან ორმაგი დახარჯვა მინევს, – ამბობს პედაგოგი, – მაგრამ ბუნდური ვარ, რომ არაქართველებს ქართული ვასწავლე... აფხაზეთიდან დევნილი ვარ და ვიცი, რაოდენ საჭიროა, საქართველოში მცხოვრებმა არაქართველებმა იცოდნენ ქართული“.

ამ ზეიმზე ლოცვად გაისმა სიმღერები დედაენაზე (მასწავლებელი – **ლია ლოლობერიძე**). დარბაზი საამო, ტკბილი ხალხური სიმღერით მოაჯადოვა **ალექსი ფანჩიძემ**, რომელიც ერთი წელია საცხოვრებლად რუსეთიდან ჩამოვიდა საქართველოში.

ამ დღეს მესამე კლასის მოსწავლეებმა სხვა თვალით დაინახეს ქართული ენა და იაკობის მიერ შექმნილი დედა ენა. „მათ კარგად იციან, რომ „ის ნამით არის განედლებული ქართული“ და რომ „...ეს ნამი უსვამს ჩვენს მამა-პაპას“. ლექსის საუკეთესო წაკითხვისათვის – **ნატო ჩიხელიძე** და **ანი ქიჯია**, ასევე ღონისძიების სხვა მონაწილეები სკოლის დირექციამ ქების სიგელებით დააჯილდოვა.

მანანა ვადაძარია
დაწყებითი კლასების
კათედრის გამგე

დედაენის კვირეული პატარძეულის საჯარო სკოლაში

პატარძეულის საჯარო სკოლაში, 23-26 აპრილს, ჩატარდა „დედაენის დღისადმი“ მიძღვნილი კვირეული – „ენა დედაა ერისა“. ღონისძიება მოამზადა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ, ხელმძღვანელი – **თინა ივანიაშვილი**.

კვირეული გაიხსნა ლიტერატურული საღამოთი – ქება ქართული ენისა, სათაურით „ო, ენა ჩვენო!“ (ხელმძღვანელი – **ლია ფიცხელიაური**). სკოლის მოსწავლეებმა ქართველ პოეტთა დედაენისადმი მიძღვნილი ლექსები წაკითხეს, მოამზადეს პრეზენტაცია – დედაენა.

მეორე დღეს გაიმართა კონფერენცია – „ქართული ქართველთ რწმენა“ (ხელმძღვანელი – **მაია მელიქაძე**).

VI-XI კლასების მოსწავლეებმა საინტერესო მოხსენებები წაკითხეს ქართული ენის წარმოშობის შესახებ; ისტ-ის გამოყენებით მოამზადეს პრეზენტაცია, თავიანთი გამოკვლევები სლაიდებითა და ფოტომასალით გამყარეს.

ამაღლეველები იყო მეთერთმეტეკლასელი **სალომე გიუნაშვილის** მოხსენება „ქებაი და დიდება ქართულისა ენისაი“, რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვებით დაასრულა: „ჩვენ ვიცით, რომ მეორედ მოსვლის წინ დაეცემა



სარწმუნოება, დაეცემა ზნეობა, აღარ იქნება სიყვარული, იქნება მტრობა, ლალატი... და იმ სულიერი დაცემის დროისათვის, როცა თითქოს არავითარი სიკეთე აღარ ჩანს ქვეყანაზე, ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წინასწარმეტყველებით, საქართველო გაბრ-

წყინდება სარწმუნოებით, სიყვარულით, სინმინდით; ამიტომაც, ქართული ენით ახელს უფალი მთელ ქვეყანას“. ქართული ენა ხომ უფლის მეგობარ ლაზარესთანაა გაიგივებული.

კვირეულის მესამე დღე გაგრძელდა ვიქ-

ტორინა-კონკურსით (მოამზადეს – **თინა ივანიაშვილი** და **გულო გულიაშვილი**). IX^ა და IX^ბ კლასების გუნდები – „განთიადი“ და „მერანი“ ერთმანეთს შეერკინენ. მოსწავლეებმა ვაჟა-ფშაველასა და გიორგი ლეონიძის შემოქმედების, ქართული დამწერლობის უძველესი ძეგლების, ანდაზებისა და ფრთიანი გამონათქვამების ღრმა ცოდნა გამოავლინეს.

კვირეულის ფარგლებში, ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი. მოსწავლეებმა დიდ ფორმატზე ლამაზად დაწერეს და გააფორმეს გამონათქვამები ქართული ენის შესახებ.

კვირეული დაიხურა ღონისძიებით – ქართული სიტყვის მეუფენი (პედაგოგი – **გულო ბილანიშვილი**). უფროსკლასელებმა საინტერესოდ წარმოადგინეს დიდი ვაჟას ცხოვრება და შემოქმედება. შეასრულეს სიმღერები და ცეკვები.


როგორც ყველა ქართველისთვის, ჩვენთვის და ჩვენი აღსაზრდელებისთვისაც ყველაზე სანუკვარი სამი „ღვთაებრივი საუნჯეა“ – ენა, მამული, სარწმუნოება.

მაია მელიქაძე

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, პატარძეულის გიორგი ლეონიძის სახელობის საჯარო სკოლა



რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი



26 აპრილს, ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა ადიგენის საჯარო სკოლაში (დირექტორი - **ალექსი ბერიძე**) საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრამ, ისტორიის მასწავლებლის, **ეთერ ბუცხრიკიძის** ხელმძღვანელობით ჩატარა კონფერენცია თემაზე: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი XVIII საუკუნის II ნახევრიდან დღემდე“.

კონფერენციის მიზანი იყო გვეჩვენებინა, თუ რა პირობებში ახდენდა რუსეთი საქართველოს თანდათანობით ოკუპაციასა და ანექსიას. თემა დაყოფილ იქნა ძირითად საკითხებად:

- ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის დროს არსებული საგარეო-პოლიტიკური ფაქტორები და რუსეთ-საქართველოს შორის დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები;
- გიორგი XII-ის საგარეო პოლიტიკა. რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება 1801 წელს და მისი ანექსია;
- დასავლეთ საქართველოს მეფე სოლომონ II და რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოს დაპყრობა;

- 1917 წლის რევოლუცია რუსეთში და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს;
- საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ ოკუპაცია 1921 წლის 25 თებერვალს და საქართველოს ძალდატანებით შეყვანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში;
- 1989 წლის 9 აპრილი და 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელმეორედ აღდგენა;
- რუსეთ-საქართველოს ომი 2008 წლის აგვისტოში და რუსეთის მესამე მცდელობა საქართველოს ოკუპაციისა;
- პუტინის რუსეთის აგრესიული პოლიტიკა დღევანდელი საქართველოს მიმართ.

აღნიშნული თემები წარმოადგინეს X კლასის მოსწავლეებმა: **მადინა ჯელიამ, ანა-მარია ნაროზაულმა, ანა ბარბაქაძემ, ოთარ ფარულავამ, მარიამ მაჭარაშვილმა, მეგა ნაროზაულმა** და **გვანცა გიგოლაშვილმა**.

კონფერენციაზე მონაწილე იყვნენ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი სმადი-

სა და სოფელ ზანავის საჯარო სკოლების ისტორიის მასწავლებლები და X-XII კლასის მოსწავლეები. კონფერენციას ესწრებოდნენ, ასევე, დაბა ადიგენის საჯარო სკოლის დირექცია და მოსწავლეები.

საკონფერენციო დარბაზში გამოფენილი იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ამსახველი ფოტომასალა: გეორგიევსკის ტრაქტატის ასლი; რუსეთის იმპერატორები, რომელთა პერიოდშიც ხდებოდა საქართველოს ოკუპაცია და ეროვნულ-სოციალური ჩაგვრა; 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა; 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის საქართველოში შემოსვლა სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით; 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია და 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელმეორედ აღდგენა; 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი.

ნაჩვენები იქნა დასახელებული თემებთან დაკავშირებული დოკუმენტური ფილმები. დასასრულს, თემების ირგვლივ, სხვადას-


ხვა საკითხებზე გაიმართა დისკუსია, რომელშიც თითქმის ყველა მოსწავლე მონაწილეობდა. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა მეთექვსმეტი მარიამ მაჭარაშვილი, რის გამოც შექება დაიმსახურა.

სიტყვით გამოვიდნენ და კონფერენცია შეაფასეს: სკოლის დირექტორმა **ალექსი ბერიძემ**, სასწავლო ნაწილის გამგემ **ნუნუ ბაღდოშვილმა**, დიდი სმადის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა **სპარტაკ ტაბატაძემ**. მათ აღნიშნეს, რომ მსგავსი კონფერენციები და სხვადასხვა სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლეების შეხვედრები გააუმჯობესებს სკოლებს შორის თანამშრომლობას, გაზრდის მასწავლებელთა და მოსწავლეთა სწავლებისა და სწავლის მოტივაციას და ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას.

ეთერ ბუცხრიკიძე
დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

„ჩვენ უფრო გვტყობა იბი, ვინ

დაბვაკლდა სწორად თავისა“



2012 წლის 27 აპრილი... მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩა №21... ფერგადაცლილი აგურის შენობა...
დღეს ამ სახლში ერთ ძვირფას კერას ესტუმრნენ 22-ე საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეები. ღონისძიების მიზანი მწერლის ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრების უკეთ შესწავლა იყო.

სახლის სადარბაზოსთან შეეჩერდით, რუდუნებით დავაჭირეთ ხელი ზარის ლილავს და კარიც გაიღო. აუწყევით კიბეს, ბოლო სართულზე შემოგვეგებენ ქალბატონი ლელა და ბატონი ნუგზარი (მწერლის ქალიშვილი, რუსუდანის ვაჟი და რძალი). მათ თბილად მიიღეს ბავშვები, თითოეულ მოსწავლეს ჩამოართვეს ხელი, დაათვალიერებინეს სახლი, აჩვენეს ნივთები, რომლებიც რაღაც მანქანებით გადარჩენოდა განადგურებას.

ქალბატონმა ლელამ რუსუდანის

არაერთი ნაამბობი მოიგონა...
„მოდოდნენ მამას მეგობრები, აქ მოსვლა კი შეიძლებოდა მიზეზი გამხდარიყო მათი დაპატიმრებისა... აი, აქ (კარბთან მიუთითა), დადგებოდნენ თავდახრილნი დიდხანს, უძრავად.“

გაუკვირდათ მასპინძლებს, როდესაც ოთახის ერთი მონაკვეთის გათავისუფლება ვთხოვეთ. დაგეგმილი გვექონდა „უმშაპის ქვიდან“ ფრაგმენტის ინსცენირება, რაც სისრულეში მოვიყვანეთ. დადგმაში მონაწილეობდნენ: **მარიამ კახურაშვილი, მარიამ გელაშვილი, ელენე ბუბუტიშვილი, გრიგოლ ცხვარაძე** და **სალომე გოგიაშვილი**.

მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს დეტალები მწერლის ბიოგრაფიიდან.

წამოსვლისას, სკოლის დირექტორისა და პედკოლექტივის სახელით, ოჯახს ქალბატონი რუსუდანის გარდაცვალება მივუსამძიმრეთ და ბედნიერება ვუსურვეთ.

როდესაც სახლს გამოვმორდით, ერთმა მოსწავლემ, **ელენე კობრიძემ**, უკან მიმხედა და მითხრა:

- მასწავლებლო, შეხედეთ, ქუჩის ამ მხარეს მარტო ეს ერთი სახლი დგას... თითქოს მწერალივით სევდიანი და მიუსაფარი.
- მაგრამ იმ განსხვავებით, ჩემო ელენე, რომ იგი სვეტიცხოველივით დიადა, ღმერთამდე აზიდული, - ვუპასუხე მე.

მეორე დღეს ბავშვებმა თავიან-

თი შთაბეჭდილებები გამოიზარეს:
„ალბათ ეს დღე არასოდეს დამავიწყდება, განსაკუთრებით ავლელდი კიბებზე ასვლისას, იდუმალება დამეუფლა და ჩემდა უნებურად ჩურჩულიც შევწყვიტე, თითქოს, საკუთარი გულის ძველ მესმოდა.“

- გიორგი კიკნაძე

„ხელი ლამის გამეცქა მწერლის სათვალისაკენ, მაგრამ უეცრად შევცბი, არა იმიტომ, რომ ეს არ შეიძლებოდა, არამედ ვერ გავებედე

თავ ჩვენ, შთამომავლები, პატივს ვცემთ, ვაფასებთ, ვსაზრდოობთ მათი ღვაწლით. ამდენად, ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო ეს ღონისძიება, რისთვისაც მადლობას ვიხდით, მედეა მასწავლებლო.“

- ელენე ბუბუტიშვილი

მედეა ნაცვალაძე
IX კლასის დამრიგებელი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი



ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტატილაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ზ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

სიასლა!



კლასიკური პოეზია



სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42x59.4 სმ)

- 1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. სილ-პოსტნული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძარტველი

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4x84.1 სმ)

- 1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საძარტველები
6. ძველწარმოები საძარტველოში
7. საძარტველო მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიღაბი - სიცოცხლის წყარო
11. ქველი რომი
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინამიკა
14. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
15. საზღვარს წარმოშობა
16. ძარტველი მემორის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი სოცერება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34x47 სმ)

- 1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. ბიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა ბელოუზანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაულუ იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ ბრიჯაშვილი
11. პოლიქარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკოვ ხუცესი
14. იონანე სპანდინძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. ბიორგი მერაბული
25. ბრიგოლ ორბელიანი
26. დავით აღმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეკროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

- 1. ცისფერი ბალერინები - დეა
2. ჰორაციუსის ფიცი - შაკ-ლუი დავიდი
3. მწყობრთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რაინი
6. მინიები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
9. უძველესი შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. სანაწარმი - რენუარი
11. საპირბარე გასაძინება, გრან-შატის კუნძულები - შორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის 2012 წლის ბრიფინგული ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის შეთავაზება სკოლას

- უპრეცედენტო საჩუქარი გამომცემლობისგან: სკოლა, რომელიც აირჩევს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ხუთივე გრიფირებულ სახელმძღვანელოს, მიიღებს ზუსტად იმ თანხის კეთილმონყობილ, თანამედროვე ტექნოლოგიებითა და უმაღლესი ხარისხის გამოცემებით აღჭურვილ სასკოლო ბიბლიოთეკას, რამდენი მოსწავლეც სწავლობს სკოლაში.
- აირჩიეთ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ გრიფირებული სახელმძღვანელოები და წარმატებით ჩააბარეთ საატესტატო გამოცდა პროფესიულ უნარებში. უნიკალური შანსი პედაგოგებისთვის: თუ სკოლა აირჩევს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ 3 ან მეტ გრიფირებულ სახელმძღვანელოს, პედაგოგებს მოცემული სკოლიდან ექნებათ შესაძლებლობა, დაესწრონ კვალიფიციური ექსპერტის ტრენინგს პროფესიულ უნარებში და მიიღონ შესაბამისი მასალები გამოცდებისთვის მოსამზადებლად.
- ასწავლეთ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ გრიფირებული სახელმძღვანელოებით და გახდით წლის საუკეთესო მასწავლებელი. გამოგვიგზავნეთ თქვენი მოსწავლეების სამუშაო რეზულტები და მიიღეთ 200, 150 ან 100 ლარიანი დანამატი პედაგოგის ხელფასზე მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.
- აირჩიეთ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ გრიფირებული სახელმძღვანელოები და ისარგებლეთ ფასდაკლებების ყველაზე მოქნილი სისტემით: 300-დან 1000 ლარამდე ღირებულების წიგნების შეძენის შემთხვევაში მიიღეთ 10%-იანი, 1000-დან ზემოთ კი – 15%-იანი ფასდაკლება.
- თბილისის მასშტაბით „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ ყველა სკოლას სურვილის შემთხვევაში 150 ლარზე მეტი ღირებულების წიგნების შეკვეთას სასურველ ადგილზე უსასყიდლოდ მიუტანს.
- საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან წიგნების შეძენა ინტერნეტის საშუალებითაც იქნება შესაძლებელი (www.sulakauri.ge; www.ibook.ge)
- აირჩიეთ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ახალი, გრიფირებული სახელმძღვანელოები და მიიღეთ მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნები საჩუქრად ცნობის საფუძველზე.

ისტორია 7-12

- ნოდარ ასათიანი • მარია ლორთქიფანიძე • როინ მეტრეველი • გიორგი სანიკიძე • ნინო კილურაძე • რევაზ გაჩეჩილაძე • ლალი ფირცხალავა • ლევან გორდეზიანი • ფარნაოზ ლომაშვილი • ცირა ჩიკვაძე • ზვიად მიმინოშვილი • გიორგი ოთხმეზური




გეოგრაფია 7-11

- მაია ბლიაძე • გია ჭანტურია • დავით კერესელიძე • ზურაბ სეფერთელაძე



მათემატიკა 7-12

- ნანა ჯაფარიძე • მაია წილოსანი • ნანი წულაია • ნინო გულუა • გია ძაგანია



„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ და გამომცემლობა „სიდი“ ერთობლივი სერია

სამოქალაქო 9-10

- თამარ ბრეგვაძე • ივანე პეტრიაშვილი • ნინო ტალახაძე • თამარ ქალდანი



გამომცემლობა „სიდი“

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

ბუნებისმეტყველება 7

- მალხაზ მაყაშვილი • რევაზ ქუთელია • ია გიგიბერია • მანანა ბოჭორიშვილი



www.sulakauri.ge
www.facebook.com/bakursulakauripublishing

მის: დავით აღმაშენებლის 150

ტელ: 291 09 54
291 11 65
247 60 18